დანართი №6



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების, შესახებ

ა(ა)იპ ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები თავმჯდომარე: მაკა ტუკვაძე (სახელი, გვარი) წევრ(ებ)ი: სოფიკო ანთაური (სახელი, გვარი)

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☒ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ა(ა)იპ ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	არაკომერციული იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	405134322

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, სოფ. ლისი,
საფოსტო ინდექსი	0186
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://waldorf-lisi.edu.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	info@waldorf-lisi.edu.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	599334432

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 24 ივნისის MES 2 26 0000795422 ბრძანების საფუძველი

ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	10 ივლისი 2026 წელი

V. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (ივსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ქ. თბილისი, სოფ. ლისი, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.72.58.058.007 (ერთი შენობა)

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 24 ივნისის № MES 2 26 0000795422 ბრძანების საფუძველზე, ა(ა)იპ ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისში 2026 წლის 10 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და ავტორიზაციის მე-3 სტანდარტის შეფასებისთვის საჭირო დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის გაიმართა ონლაინ სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებში განისაზღვრა შეფასების მიდგომები და დაზუსტდა დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა. დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტები სკოლამ წარმოადგინა ადგილზე ვიზიტის დროს.

ბრძანების შესაბამისად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით, ვიზიტი წარიმართა საქმიან, თანამშრომლობით და კონსტრუქციულ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა დეტალურად გაცნობოდა როგორც წარმოდგენილ დოკუმენტაციას, ასევე სკოლის წარმომადგენელთა ხედვას, დაგეგმილ საგანმანათლებლო მოდელსა და მისი განხორციელების მექანიზმებს.

ვიზიტის ფარგლებში გაიმართა გასაუბრებები დაწესებულების დამფუძნებლებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან და სხვა პასუხისმგებელ პირებთან.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ის შენობა, სადაც სკოლა გეგმავს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას ფართის ცვლილებისა შემდეგ. დათვალიერების მომენტისთვის შენობაში მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროექტისა და განმარტებების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სივრცეების მოწყობა დაგეგმილია სკოლის საგანმანათლებლო კონცეფციის, ვალდორფის პედაგოგიკის პრინციპებისა და დაწესებულების მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით. დაგეგმილი ინფრასტრუქტურული ცვლილებები მიზნად ისახავს ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებას, უსაფრთხო და ფუნქციურად მრავალფეროვანი სივრცეების ფორმირებას.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
90	72

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ვინაიდან ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება შემოიფარგლა მხოლოდ ავტორიზაციის მე-3 სტანდარტით და არ მოიცავდა დაწესებულების საქმიანობის ყველა მიმართულების კომპლექსურ შეფასებას, სკოლის საერთო საქმიანობის საუკეთესო ან გასაზიარებელი პრაქტიკა განიხილება მხოლოდ აღნიშული სტანდარტის ფარგლებში. ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს სკოლის ჰორიზონტალურ, კოლეგიურ მმართველობის მოდელს, რომელიც ეფუძნება პასუხისმგებლობების განაწილებას, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის აქტიურ ჩართულობასა და გადაწყვეტილებების კოლეგიურად მიღების პრინციპს. წარმოდგენილი მმართველობითი მოდელი უზრუნველყოფს პედაგოგიური კოლეგიის, გამგეობისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლობას, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციული პროცესების კოორდინირებულ წარმართვას და საერთო პასუხისმგებლობის კულტურის ჩამოყალიბებას.

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა სკოლის მიერ დასკვნის პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში წარმოდგენილი ხარვეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებები და

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ სკოლამ ექსპერტთა ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებულ ხარვეზებზე მოახდინა რეაგირება, ცალკეულ შემთხვევებში უზრუნველყო მათი აღმოფხვრა, ხოლო იმ საკითხებთან მიმართებით, რომელთა სრულად აღმოფხვრა არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე ობიექტურად დაკავშირებულია მიმდინარე სამშენებლო-სარემონტო, ადმინისტრაციულ ან შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან მიმდინარე პროცედურებთან, სკოლამ შეიმუშავა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმაში თითოეული ხარვეზის შესაბამისად განსაზღვრულია განსახორციელებელი აქტივობები, შესრულების კონკრეტული ვადები, პასუხისმგებელი პირები და შესაბამისობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა წარმოდგენილი ღონისძიებების შინაარსი, მათი განხორციელების შესაძლებლობა და განსაზღვრული ვადები. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული აქტივობების შესრულებისთვის განსაზღვრული ვადები შემჭიდროებულია, წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და სკოლის მიერ უკვე განხორციელებული ქმედებებით იკვეთება ხარვეზების აღმოფხვრის თანმიმდევრული და გააზრებული მიდგომა. აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაბამისი ინდიკატორების (3.1.2.4; 3.4.1.1; 3.4.1.2; 3.4.1.3; 3.4.1.5; 3.5.1.1; 3.5.1.2; 3.5.1.3; 3.5.1.4; 3.5.1.5; 3.6.1.2) შეფასება დაკორექტირდა და ისინი შეფასდა როგორც **მეტწილად შესაბამისი**.

ექსპერტთა ჯგუფმა მხედველობაში მიიღო ასევე არგუმენტირებულ პოზიციაში აღწერილი უკვე განხორციელებული და მიმდინარე ღონისძიებები. კერძოდ, სკოლამ უზრუნველყო პერსონალის მიერ „უფლების ჩამორთმევის“ შესახებ ცნობების წარმოდგენა, რის საფუძველზეც შეიცვალა 3.1.2.3 ინდიკატორის შეფასება და გადავიდა **სრულ შესაბამისობაში.**

დაიწყო შესაბამის უფლებამოსილ უწყებებთან უსაფრთხოების საკითხების შეთანხმების პროცედურები; განსაზღვრა ინფრასტრუქტურული და უსაფრთხოების ღონისძიებების დასრულების კონკრეტული ვადები და წარმოადგინა რიგი მარეგულირებელი დოკუმენტები. მათ შორის, სკოლამ შეიმუშავა „საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობისა და ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების წესი“, რომლითაც განისაზღვრა IT რესურსებით მოსწავლეთა და თანამშრომელთა სარგებლობის პირობები, ტექნოლოგიური უზრუნველყოფის, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და ტექნიკური მხარდაჭერის საკითხები. დოკუმენტი კონკრეტულად არეგულირებს თანამშრომელთა წვდომას ტექნიკურ აღჭურვილობასა და საინფორმაციო სისტემებზე, აგრეთვე მოსწავლეთა მიერ კომპიუტერული კლასისა და ბიბლიოთეკის IT რესურსებით სარგებლობის პირობებს. აღნიშნულიდან გამომდინარე 3.6.1.2 ინდიკატორის ის ნაწილი, სადაც საუბარია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის წესს შემუშავებაზე, სკოლამ გამოასწორა ეს ხარვეზი და სკოლის ვებგვერზე განათავსა ,,სკოლის საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობისა და ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების წესი“.

X. ინფორმაცია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსის შესახებ (ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

გთხოვთ, ასახოთ ინფორმაცია შეცვლილ მისამართზე/ფართზე კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსის შესახებ.

ა(ა)იპ „ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისი“ სასწავლო პროცესის განახლებას გეგმავს ქ. თბილისში, სოფელ ლისში, მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.72.58.058.007) მდებარე ახალ მისამართზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით აღნიშნულ ნაკვეთზე დარეგისტრირებულია აღნაგობის უფლება შპს კამპუს კონსტრაქშენ დეველოპმენტის (ს/კ 405717425) სასარგებლოდ. აღნიშნულ კომპანიასთან სკოლას გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება N67-260708-01 (გაფორმებული 2026 წლის 09 ივნისს). ხელშეკრულების ვადა განსაზღვრულია 2038 წლის 31 აგვისტომდე (12 წელი), თუმცა იჯარის ხელშეკრულება არ არის გატარებული რეესტრში და შესაბამისად, იურიდიულად არ დასტურდება, რომ სკოლას აქვს უფლება გამოიყენოს აღნიშნული ქონება საგანმანათლებლო საქმიანობისთვის მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. სკოლის განმარტებით მიმდინარეობს პროცესი საჯარო რეესტრში იჯარის ხელშეკრულების გატარების მიმართულებით.

ადგილზე ფაქტობრივი დათვალიერებისას დადგინდა, რომ შენობაში მიმდინარეობს მასშტაბური სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები. პროექტის მიხედვით, შენობა წარმოადგენს სამსართულიან სასწავლო კომპლექსს, რომელშიც განთავსდება სასწავლო კლასები, ადმინისტრაციული სივრცეები, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი, სასადილო, სპორტული და სარეკრეაციო სივრცეები, სანიტარიული კვანძები, მათ შორის ადაპტირებული ინფრასტრუქტურა, ასევე სხვა საერთო სარგებლობის სივრცეები, რომლებიც გათვალისწინებულია ვალდორფის პედაგოგიკის პრინციპების შესაბამისად.

სკოლის სკოლას აქვს შემდეგი მატერიალური რესურსი: 10 სასკოლო დაფა და 90 კომპლექტი მერხი და სკამი. ასევე, ჩუქების ხელშეკრულებებითა და ზედნადებებით დასტურდება 11 კომპიუტერული ტექნიკისა და პროექტორის ფლობა. სკოლამ წარმოადგინა ხელშეკრულება დამატებით 60 მოსწავლის ავეჯის დამზადებაზე, 31 აგვისტომდე ჩაბარების ვადით, და გადახდილი ავანსის ქვითარი. ჯამში სკოლას ექნება 150 მერხის და სკამის კომპლექტი.

ადამიანური რესურსის თვალსაზრისით, ვიზიტის განხორციელების პერიოდში eSchool-ის მონაცემებით სკოლაში დასაქმებული იყო 26 თანამშრომელი, მათ შორის 17 მასწავლებელი, რომელთაგან 9 არის უფროსი მასწავლებელი, 1 – უფროსი სპეციალური მასწავლებელი, 2 – მოწვეული მასწავლებელი, 3 მასწავლებლი ასწავლის დამატებით სავალდებულო საგანს, 1 ასრულებს დამრიგებლის ფუნქციას, ხოლო 1

სპორტის მასწავლებელს არ აქვს კანონმდებლობით დადგენილი საგნობრივი კომპეტენცია. სკოლაში ასევე დასაქმებულია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია შიდა სამართლებრივი აქტებით.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N.3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 20 აგვისტომდე უზრუნველყოს, სკოლაში სპორტის კვალიფიციური მასწავლებლის დასაქმება
ინდიკატორი N. 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა. კერძოდ, • 2026 წლის 17 აგვისტომდე თბილისის მერიის არქიტექტურულ სამსახურის მიერ კორექტირებული პროექტის შეთანხმების მოპოვება • 2026 წლის 31 აგვისტომდე შპს კამპუს კონსტრაქშენ დეველოპმენტის მიერ ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის შესახებ დასკვნის მოპოვება. • 2026 წლის 17 აგვისტომდე უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოპოვება • 2026 წლის 4 სექტემბრამდე შსს მმართველობის სფეროში

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

		მოქმედი- სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სამუშაოების შესრულების სააგენტოსთან მიმართვა- ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის მოპოვების მიზნით. • 2026 წლის 25 აგვისტომდე სკოლის პერიმეტრის გამიჯვნის დასრულება
ინდიკატორი N. 3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 31 აგვისტომდე უზრუნველყოს, სარემონტო სამუშაოების დასრულება და სამედიცინო კაბინეტის ბოლომდე აღჭურვა.
ინდიკატორი N. 3.4.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. კერძოდ, • 2026 წლის 15 აგვისტომდე უსაფრთხოების და საზოგადოებრივ წესრიგის დაცვის წესი და პირობების დოკუმენტის შეთანხმება • 2026 წლის 31 აგვისტომდე შპს კამპუს კონსტრაქშენ დეველოპმენტის მიერ კამერების დამონტაჟება და ფუქციური გამართვა
ინდიკატორი N. 3.4.1.5	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 31 აგვისტომდე უზრუნველყოს, შპს კამპუს კონსტრაქშენ დეველოპმენტის მიერ სანიტარულ-ჰიგიენური ინფრასტრუქტურის მოწყობა.

ინდიკატორი N. 3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 31 აგვისტომდე უზრუნველყოს: • სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სარგებლობის უფლების კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახვა. • შპს კამპუს კონსტრაქშენ დეველოპმენტის მიერ ინფრასტრუქტურის, კერძოდ, საკლასო ოთახები, სველი წერტილები, ინკლუზიური გარემო, სპორტული ინფრასტრუქტურა, საინფორმაციო - საკომუნიკაციო სისტემების და ადმინისტარციული სივრცეების მოწყობის დასრულება.
ინდიკატორი N. 3.5.1.2	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 31 აგვისტომდე უზრუნველყოს, შპს კამპუს კონსტრაქშენ დეველოპმენტის მიერ ინფრასტრუქტურის მოწყობის დასრულება.
ინდიკატორი N. 3.5.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 31 აგვისტომდე უზრუნველყოს, შპს კამპუს კონსტრაქშენ დეველოპმენტის მიერ ინფრასტრუქტურის მოწყობის დასრულება და საბიბლიოთეკო სივრცის მოწყობა
ინდიკატორი N. 3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს სწავლების ინკლუზიური გარემოს შექმნა, კერძოდ, • შპს კამპუს კონსტრაქშენ დეველოპმენტის მიერ ინფრასტრუქტურის მოწყობის დასრულება 2026 წლის 31 აგვისტომდე • ლიფტის უსაფრთხოების სერტიფიკატის მოპოვება 2026 წლის

		10აგვისტომდე
ინდიკატორი N. 3.5.1.5	სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 31 აგვისტომდე უზრუნველყოს, შპს კამპუს კონსტრაქშენ დეველოპმენტის მიერ ინფრასტრუქტურის მოწყობის დასრულება.
ინდიკატორი N. 3.6.1.2	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 31 აგვისტომდე უზრუნველყოს, შპს კამპუს კონსტრაქშენ დეველოპმენტის მიერ ინფრასტრუქტურის მოწყობის დასრულება.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.1.1.2	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას	საქმიანობის უწყვეტობისა და მმართველობითი პროცესების მდგრადობის კიდევ უფრო გასაძლიერებლად, სასურველია სკოლამ შიდა სამართლებრივ აქტებში განსაზღვროს პასუხისმგებელი პირების ურთიერთჩანაცვლების მექანიზმები მათი არყოფნის ან ფუნქციების დროებით შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში.
ინდიკატორი N.3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი	მიზანშეწონილია სკოლამ გადახედოს შრომითი ხელშეკრულებ ნიმუშს და საქართველოს შრომის კოდექსთან სრულ შესაბამისობაშ

	კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	მოიყვანოს დასაქმებულის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტ წინასწარი შეტყობინების ვადა, მატერიალური პასუხისმგებლობ ფარგლები და ზეგანაკვეთური სამუშაოს შეთანხმებისა და აღრიცხვ პირობები.
ინდიკატორი 3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	მიზანშეწონილია, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში მკაფიოდ გაიწეროს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შერჩევის პროცედურები და გადაწყვეტილების მიღების წესი. ამასთან, სასურველია გადაიხედოს პოლიტიკაში საკონკურსო კომისიის მარეგულირებელი ცალკეული დებულებები და სრულ შესაბამისობაში მოვიდეს კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის მოდელთან.
ინდიკატორი N.3.3.1.1	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს	სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ტერმინოლოგია შესაბამისობაში მოვიდეს ორგანიზაციის მოქმედ მმართველობით მოდელთან და დოკუმენტში გამოყენებული ტერმინი „დირექტორი“ ჩაანაცვლოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ან პირის ზუსტი დასახელებით.
ინდიკატორი N.3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან	სასურველია,სკოლამ უზრუნველყოს ოფიციალურ ვებგვერდზე სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების დროული და სისტემატური გამოქვეყნება, რათა ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია მუდმივად იყოს აქტუალური და სრულად ასახავდეს დაწესებულების საქმიანობის მიმდინარე შედეგებს.

	დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის წესდების, შინაგანაწესის, ორგანიზაციული სტრუქტურის (ორგანოგრამა), თანამდებობრივი სამუშაო აღწერილობების, შრომითი ხელშეკრულების, ასევე ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის ანალიზით დადგინდა, რომ სკოლის ორგანიზაციული მოწყობა ეფუძნება ჰორიზონტალური (კოლეგიური) მმართველობის მოდელს, რომლის ცენტრალურ მმართველ ორგანოს წარმოადგენს გამგეობა და არა ერთპიროვნული ხელმძღვანელი. აღნიშნული მოდელი სრულად შეესაბამება სკოლის ვალდორფული პედაგოგიკის პრინციპებს და უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების კოლეგიურ მიღებას, პასუხისმგებლობის განაწილებასა და თანამშრომელთა აქტიურ მონაწილეობას ორგანიზაციის მართვაში.

ორგანიზაციული სტრუქტურა მკაფიოდ განსაზღვრავს მმართველ ორგანოებს, პედაგოგიური თვითმმართველობისა და ადმინისტრაციული ერთეულების ურთიერთმიმართებას. ორგანიზაციის საქმიანობაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება პედაგოგიურ კოლეგიას, კათედრებს, ხარისხის მართვის ჯგუფსა და ადმინისტრაციას, რომელთა კომპეტენციები, პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულება რეგულირდება შიდა სამართლებრივი აქტებით. წარმოდგენილი ორგანოგრამა უზრუნველყოფს ფუნქციების მკაფიო განაწილებასა და ეფექტიან კოორდინაციას სტრუქტურულ ერთეულებს შორის.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ თითოეული პასუხისმგებელი პირისა და სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია-მოვალეობები შეესაბამება მათ პოზიციასა და საქმიანობის სფეროს. თანამდებობრივი სამუშაო აღწერილობები, შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი დოკუმენტები და სამოქმედო გეგმა ქმნის პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილების სისტემას, რაც უზრუნველყოფს როგორც მმართველობითი, ისე საგანმანათლებლო პროცესების ეფექტიან წარმართვას. ამასთან, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია შესაბამისი პასუხისმგებელი პირი ან სტრუქტურული ერთეული, რაც პრაქტიკაში ადასტურებს ორგანიზაციული მოწყობის ეფექტიან ფუნქციონირებას.

გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა, რომ სკოლის მიერ დაგეგმილი ცვლილებები —სასწავლო ფართის გაფართოება არ საჭიროებს მმართველობის მოდელის ცვლილებას. არსებული ორგანიზაციული მოწყობა, პასუხისმგებლობების განაწილება და მმართველობითი მექანიზმები საკმარისია მოსწავლეთა გაზრდილი რაოდენობის პირობებშიც სკოლის საქმიანობის ეფექტიანად სამართავად.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ა(ა)იპ „ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისის“ ორგანიზაციული მოწყობა არის მკაფიო, თანმიმდევრული და ეფექტიანი. სკოლის ჰორიზონტალური, კოლეგიური მმართველობის მოდელი, პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილება, პოზიციებთან შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები და შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მმართველობითი მექანიზმები უზრუნველყოფს ორგანიზაციის მიზნების მიღწევას, მათ შორის, დაგეგმილი ცვლილებების —სასწავლო ფართის გაფართოების — პირობებშიც.

3.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი: სკოლის წესდება, შინაგანაწესი, ორგანიზაციული სტრუქტურა — ორგანოგრამა, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის საფუძველზე შემუშავებული თანამდებობრივი სამუშაო აღწერილობები, შრომითი ხელშეკრულები, 2025–2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ასევე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით მიღებული ინფორმაცია იძლევა საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლის მმართველობითი, საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული ფუნქციები განაწილებულია

შესაბამის მმართველ ორგანოებს, სტრუქტურულ ერთეულებსა და პასუხისმგებელ პირებს შორის. სკოლის ხელმძღვანელ ორგანოებს წარმოადგენენ საერთო კრება

და გამგეობა, ხოლო ორგანიზაციული სტრუქტურა ასევე მოიცავს პედაგოგიურ კოლეგიას, დაწყებითი განათლების კათედრას, ხარისხის მართვის ჯგუფსა და ადმინისტრაციას. შინაგანაწესით განსაზღვრულია აღნიშნული ერთეულების საქმიანობის მიმართულებები, გადაწყვეტილებების მიღების წესი, კომპეტენციები და უფლებამოსილების დელეგირების შესაძლებლობა.

სკოლაში მოქმედი ჰორიზონტალური, კოლეგიური მართვის მოდელის ფარგლებში გამგეობა ახორციელებს ორგანიზაციის საერთო მართვას, ამტკიცებს შიდა სამართლებრივ აქტებს, ადამიანური რესურსების მართვის საკითხებს, სასკოლო სასწავლო გეგმას, ორგანიზაციის სტრუქტურასა და საშტატო განრიგს. პედაგოგიური კოლეგია და კათედრები უშუალოდ არიან ჩართული სასწავლო პროცესის დაგეგმვაში, განხილვასა და განვითარებაში, ხოლო ხარისხის მართვის ჯგუფი ახორციელებს სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგთან, შეფასებასა და გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საქმიანობას. აღნიშნული განაწილება ქმნის საგანმანათლებლო და მმართველობითი პროცესების კოლეგიურად და კოორდინირებულად განხორციელების საფუძველს.

თანამდებობრივი სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრულია თითოეული პოზიციის სტრუქტურული კუთვნილება, დაქვემდებარება, შესასრულებელი ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. კერძოდ, პედაგოგების ფუნქციები მოიცავს სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად სწავლების პროცესის წარმართვას, მოსწავლეთა მხარდაჭერას, სასწავლო გარემოს მომზადებას, მშობლებთან კომუნიკაციას, კათედრისა და პედაგოგიური კოლეგიის საქმიანობაში მონაწილეობას, სასწავლო დოკუმენტაციის წარმოებასა და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას. ამდენად, მათთვის განსაზღვრული ფუნქციები უშუალოდ უკავშირდება საგანმანათლებლო პროცესის სრულფასოვან განხორციელებას.

ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციებიც შესაბამისობაშია დაკავებულ პოზიციებთან და ემსახურება საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზაციულ მხარდაჭერას. საქმეთა მმართველის ფუნქციებში შედის კამპუსის ადმინისტრაციული საქმიანობის წარმართვა, ფინანსური და საბუღალტრო პროცესების კოორდინაცია, შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელება, მარაგებისა და შესყიდვების მონიტორინგი. იურისტი უზრუნველყოფს ორგანიზაციის საქმიანობის სამართლებრივ მხარდაჭერას, შიდა აქტებისა და ხელშეკრულებების მომზადებასა და ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებული საკითხების მხარდაჭერას. დამხმარე პერსონალის ფუნქციები კი მიმართულია უსაფრთხო, სუფთა და მოწესრიგებული გარემოს უზრუნველყოფისკენ.

ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების პრაქტიკულ გამოყენებას ადასტურებს სკოლის 2025–2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაც. გეგმაში თითოეული აქტივობისათვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი ან სტრუქტურული ერთეული. მაგალითად, სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და კურიკულუმის განვითარებაზე პასუხისმგებლობები განაწილებულია კათედრებს, ხარისხის მართვის ჯგუფს, მასწავლებლებსა და გამგეობას შორის; ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და სასწავლო პროცესის უწყვეტობაზე — გამგეობასა და საქმეთა მმართველს შორის; უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე კი შესაბამის

პასუხისმგებელ პირებს შორის. აღნიშნული მიუთითებს, რომ პასუხისმგებლობები ფორმალურად კი არ არის განსაზღვრული, არამედ დაკავშირებულია სკოლის კონკრეტულ მიზნებსა და დაგეგმილ საქმიანობებთან.

სტრუქტურულ ერთეულებს შორის თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება პედაგოგიური კოლეგიის, კათედრებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ფარგლებში, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების ერთობლივად განხილვასა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას.

ხარისხის მართვის ჯგუფი აფასებს პროცესების განხორციელებას, ამზადებს დასკვნებს, გასცემს რეკომენდაციებს და ახორციელებს მათი შესრულების მონიტორინგს. ამდენად, ფუნქციების განაწილება მოიცავს არა მხოლოდ საქმიანობის შესრულებას, არამედ შესრულების ხარისხის შეფასებასა და გაუმჯობესებაზე პასუხისმგებლობასაც, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის უწყვეტ განვითარებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა დამატებით ადასტურებს, რომ ორგანიზაციაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება პროცესებზე დაფუძნებული მიდგომით ხორციელდება, რაც უზრუნველყოფს ფუნქციების სისტემურ განაწილებას, პასუხისმგებლობის იდენტიფიცირებასა და საგანმანათლებლო საქმიანობის კოორდინირებულ განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე გაითვალისწინა, რომ სკოლის მიერ მოთხოვნილი ფართის ცვლილების პირობებში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების არსებული განაწილება ქმნის საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვის შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკვეთება, რომ სასწავლო, ადმინისტრაციული, სამართლებრივი, უსაფრთხოებისა და მატერიალური მხარდაჭერის ფუნქციები შესაბამის პასუხისმგებელ პირებსა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის არის განაწილებული.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებსა და პასუხისმგებელ პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ და პოზიციების შესაბამისად არის განაწილებული. მათი საქმიანობა ურთიერთდაკავშირებულია და მიმართულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შესაბამისი ადმინისტრაციული მხარდაჭერის უზრუნველყოფისკენ. პასუხისმგებელი პირების ფუნქციები შეესაბამება მათ პოზიციებსა და საქმიანობის სფეროებს, ხოლო სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული პასუხისმგებლობები ადასტურებს ორგანიზაციული მოწყობის პრაქტიკულ კავშირს სკოლის საგანმანათლებლო მიზნებთან. შესაბამისად, **3.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: საქმიანობის უწყვეტობისა და მმართველობითი პროცესების მდგრადობის კიდევ უფრო გასაძლიერებლად, სასურველია სკოლამ შიდა სამართლებრივ აქტებში განსაზღვროს პასუხისმგებელი პირების ურთიერთჩანაცვლების მექანიზმები მათი არყოფნის ან ფუნქციების დროებით შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2021 წლის 7 მაისის გამგეობის ოქმი N5-ით დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის წესდება
- სკოლის ორგანოგრამა
- სამუშაო აღწერილობები
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- 2025 წლის 4 სექტემბრის №აგ-250904-02 ოქმით დამტკიცებული 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის, შინაგანაწესის, თანამდებობრივი სამუშაო აღწერილობების, შრომით ხელშეკრულების ნიმუშის და ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის ანალიზით დგინდება, რომ სკოლაში პერსონალის მართვის პროცესი რეგულირდება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით, რომელიც შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და განსაზღვრავს პერსონალის მართვის ყველა ძირითად მიმართულებას. პოლიტიკა პირდაპირ მიუთითებს, რომ იგი ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსს, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, ეროვნული სასწავლო გეგმის მარეგულირებელ აქტებს, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტსა და მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესს. ადამინური რესურსების მართვის პოლიტიკა მოიცავს თანამშრომლის განვითარების სრულ ციკლს — დაგეგმვიდან და შერჩევიდან დაწყებული, ადაპტაციით, შეფასებით, პროფესიული განვითარებით, მოტივაციითა და შრომითი ურთიერთობის დასრულებით დამთავრებული.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულების ნიმუში. შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია მხარეები, სამუშაო ადგილი, თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაო, ხელშეკრულების ვადა, სამუშაო დატვირთვა, ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს კომპენსირება, შვებულების ხანგრძლივობა, მხარეთა უფლებები და მოვალეობები და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საკითხები. ეს პირობები შეესაბამება შრომის კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრულ შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების ძირითად ჩამონათვალს. ამასთან, დოკუმენტში გამოვლინდა ცალკეული ჩანაწერები, რომლებიც საჭიროებს დაზუსტებას, მათ შორის დასაქმებულის ინიციატივით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისათვის განსაზღვრული ექვსთვიანი წინასწარი შეტყობინების ვადა, ზეგანაკვეთური სამუშაოს შეთანხმებისა და აღრიცხვის პირობები, და მატერიალური პასუხისმგებლობის ზოგადი ფორმულირება. შრომის კოდექსი დასაქმებულის ინიციატივით შეწყვეტისას ადგენს არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე წერილობით შეტყობინებას. ინდივიდუალური ხელშეკრულების პირობა, რომელიც კანონთან შედარებით აუარესებს დასაქმებულის მდგომარეობას, ბათილია, თუ იგი დასაქმებულისთვის უფრო ხელსაყრელ პირობად ვერ შეფასდება. ამიტომ ექვსთვიანი წინასწარი შეტყობინების მოთხოვნა სამართლებრივად პრობლემურია და მიზანშეწონილია 30-დღიან ვადასთან შესაბამისობაში მოვიდეს. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ზეგანაკვეთური სამუშაოს სანაცვლოდ დამატებითი და პროპორციული დასვენების დროის გამოყენება, რაც მხარეთა შეთანხმებით დასაშვები მიდგომაა. თუმცა ხელშეკრულებაში ფრაზა — „ზეგანაკვეთური მუშაობა დაიშვება ისეთ შემთხვევებში, რომელიც საფრთხეს უქმნის ორგანიზაციის ფუნქციონირებასა და განვითარებას“ — საკმაოდ ზოგადია. უმჯობესია განისაზღვროს ზეგანაკვეთური სამუშაოს წინასწარი შეთანხმების, აღრიცხვისა და კომპენსირების უფრო მკაფიო წესი. ხელშეკრულების 4.2.8 პუნქტი ადგენს, რომ დასაქმებული სრულად აგებს პასუხს მისთვის გადაცემული ქონების ნებისმიერი ზიანის ან დაკარგვის გამო. შრომის კოდექსით სრული მატერიალური პასუხისმგებლობა შეიძლება განისაზღვროს ცალკე წერილობითი შეთანხმებით და იმ სრულწლოვან თანამშრომელთან, რომლის სამუშაოც უშუალოდ უკავშირდება მისთვის გადაცემული ფასეულობების შენახვას, დამუშავებას, გადაზიდვას ან გამოყენებას. ამიტომ მასწავლებლისთვის ზოგადი და ავტომატური „სრული პასუხისმგებლობის“ დაკისრება საჭიროებს დაზუსტებას და პასუხისმგებლობის ფარგლების კანონთან შესაბამისობაში მოყვანას.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ გადახედოს შრომითი ხელშეკრულების ნიმუშს და საქართველოს შრომის კოდექსთან სრულ შესაბამისობაში მოიყვანოს დასაქმებულის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის წინასწარი შეტყობინების ვადა, მატერიალური პასუხისმგებლობის ფარგლები და ზეგანაკვეთური სამუშაოს შეთანხმებისა და აღრიცხვის პირობები.

3.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლაში ადამიანური რესურსების მართვა ეფუძნება თანამშრომელთა საჭიროებების იდენტიფიცირების, პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და საქმიანობის უწყვეტი მხარდაჭერის პრინციპებს. პოლიტიკით განსაზღვრულია საქმიანობის შეფასების სისტემა. შეფასების შედეგები გამოიყენება თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოსავლენად და შესაბამისი განვითარების აქტივობების დასაგეგმად, რაც ადასტურებს, რომ პერსონალის მართვის პროცესები ეფუძნება საჭიროებათა ანალიზს და არა მხოლოდ ფორმალურ შეფასებას.

პრევენციული მიდგომა გამოიხატება ახალი თანამშრომლების ადაპტაციის სისტემაში, მენტორის ინსტიტუტის გამოყენებაში, ორგანიზაციის ღირებულებების, სამუშაო წესებისა და პროფესიული მოლოდინების წინასწარ გაცნობაში, ასევე თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობაში. აღნიშნული მექანიზმები მიზნად ისახავს შესაძლო სირთულეების პრევენციას და თანამშრომელთა ეფექტიან ინტეგრაციას სამუშაო გარემოში.

ინტერვენციული მექანიზმები კი ვლინდება თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების შედეგებზე დაფუძნებული ინდივიდუალური მხარდაჭერის, პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვის, მენტორინგის, კონსულტირების, დამატებითი ტრენინგებისა და საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობაში. ასევე სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული სასწავლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფის მექანიზმებს. კერძოდ, მასწავლებლის დაგვიანების, გამოუცხადებლობის ან სხვა ობიექტური გარემოების შემთხვევაში განსაზღვრულია ჩანაცვლების წესი და პასუხისმგებელი პირების მოქმედების პროცედურები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და წარმოადგენს ინტერვენციული მართვის პრაქტიკულ მექანიზმს.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლას აქვს თანამშრომელთა საჭიროებებზე დაფუძნებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს როგორც პრევენციულ, ისე ინტერვენციულ მექანიზმებს. თანამშრომელთა საჭიროებების იდენტიფიცირება, საქმიანობის შეფასება, ადაპტაციის პროცესი, მენტორინგი, პროფესიული განვითარება, მხარდაჭერისა და მოტივაციის მექანიზმები ქმნის ადამიანური რესურსების მართვის სისტემას, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებასა და საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფას.

3.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

ინდიკატორის შეფასების მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, შინაგანაწესი, სხვადასხვა პოზიციის სამუშაო აღწერილობები, მასწავლებელთა შერჩევის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია, პერსონალის პირადი საქმეები და გააანალიზა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით მიღებული ინფორმაცია.

დოკუმენტაციის ანალიზით დადგინდა, რომ სკოლას ყველა პოზიციებისთვის შემუშავებული აქვს სამუშაო აღწერილობები, რომლებშიც განსაზღვრულია ფუნქციები, პასუხისმგებლობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნული ქმნის პოზიციის შესაბამისი კადრის შერჩევის წინასწარ განსაზღვრულ საფუძველს და საშუალებას აძლევს სკოლას კანდიდატი შეაფასოს არა ზოგადი, არამედ კონკრეტული თანამდებობის საჭიროებებიდან გამომდინარე. წარმოდგენილი სამუშაო აღწერილობები მოიცავს როგორც პედაგოგიურ, ისე ადმინისტრაციულ და დამხმარე პოზიციებს.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა დეტალურად აღწერს მასწავლებელთა შერჩევის პროცესს, მათ შორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, კონკურსის გამოცხადებას, საკონკურსო კომისიის საქმიანობას, კანდიდატთა შეფასების ეტაპებსა და გასაჩივრების მექანიზმს. წარმოდგენილი საკონკურსო მასალებით დასტურდება, რომ მასწავლებელთა შერჩევისას სკოლა პრაქტიკაში იყენებს „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ დადგენილ წესებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სასურველია გადაიხედოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუემნტში, საკონკურსო კომისიის მარეგულირებელი ცალკეული დებულებები და სრულ შესაბამისობაში მოვიდეს კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის მოდელთან.

რაც შეეხება სხვა პერსონალს, შინაგანაწესით ზოგადად რეგულირდება თანამშრომლის მიღების პროცესი. კერძოდ, ვაკანტური პოზიციის შესახებ ინფორმაციის გავრცელება შესაძლებელია როგორც პირდაპირი, არასაჯარო გზით, ისე ელექტრონული საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით. თუმცა, არ იკითხება კანდიდატის შერჩევის ეტაპები და გადაწყვეტილების მიღების წესი. შინაგანაწესი ასევე განსაზღვრავს კანდიდატისთვის დამატებით წარმოსადგენ დოკუმენტაციას. ასეთ დოკუმენტებად მითითებულია ვალდორფის პედაგოგიკის სემინარის გავლისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატები. აღნიშნული მიუთითებს, რომ სკოლა კანდიდატის შეფასებისას ითვალისწინებს არა მხოლოდ ფორმალურ განათლებასა და გამოცდილებას, არამედ მის შესაბამისობას დაწესებულების სპეციფიკურ საგანმანათლებლო მოდელთან.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პერსონალის პირადი საქმეები. შესწავლით დადგინდა, რომ თანამშრომელთა საქმეებში წარმოდგენილი იყო განათლების, კვალიფიკაციისა და შრომითი ურთიერთობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ასევე „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ ცნობები, ხოლო პედაგოგიური პერსონალის პირად საქმეებში ასევე დაცულია ნასამართლეობის შესახებ ცნობები, როგორც ამას განსაზღვრავს საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ თუმცა, პირად საქმეებში არ იყო წარმოდგენილი განათლების სფეროში საქმიანობის ,,უფლების ჩამორთმევის“ შესახებ ცნობები.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლას შექმნილი აქვს პოზიციის შესაბამისი კადრების შერჩევის მნიშვნელოვანი წინაპირობები: ყველა პოზიციისთვის განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მასწავლებელთა შერჩევა რეგულირდება დეტალური საკონკურსო

პროცედურებით, ხოლო კანდიდატთა შეფასებისას გათვალისწინებულია სკოლის ვალდორფული საგანმანათლებლო სპეციფიკაც. თუმცა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შერჩევის პროცედურები მხოლოდ ზოგადი სახით არის მოწესრიგებული. ასევე პირად საქმეებში განათლების სფეროში საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების არარსებობის გამო ვერ დადასტურდა კანდიდატთა კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების სრულყოფილი შემოწმება.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება: ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში აღნიშნული ხარვეზის იდენტიფიცირების შემდეგ დაწესებულებამ უზრუნველყო პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალის ინფორმირება შესაბამისი ცნობის წარმოდგენის აუცილებლობის შესახებ. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ თანამშრომლებმა განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინეს ,,უფლების ჩამორთმევის“ ცნობები, რითაც დასკვნის პროექტში დაფიქსირებულ აღნიშნულ გარემოებაზე სკოლამ მოახდინა რეაგირება და ხარვეზი აღმოფხვრა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში წარმოდგენილი მტკიცებულებები გაითვალისწინა და შეიცვალა ინდიკატორის საბოლოო შეფასება.

3.1.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში მკაფიოდ გაიწეროს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შერჩევის პროცედურები და გადაწყვეტილების მიღების წესი. ამასთან, სასურველია გადაიხედოს პოლიტიკაში საკონკურსო კომისიის მარეგულირებელი ცალკეული დებულებები და სრულ შესაბამისობაში მოვიდეს კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის მოდელთან.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პერსონალის პირადი საქმეები, თანამდებობრივი სამუშაო აღწერილობები, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და შრომითი ხელშეკრულებები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში ყველა პოზიციისთვის განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც ითვალისწინებს განათლებას, პროფესიულ გამოცდილებას, კომპეტენციებსა და, საჭიროების შემთხვევაში, სკოლის საგანმანათლებლო მოდელიდან გამომდინარე დამატებით მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო იმ პოზიციებს, რომელთათვისაც კანონმდებლობა სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ადგენს. პერსონალის პირადი საქმის შესწავლით დადასტურდა, რომ სკოლის ექიმს მინიჭებული აქვს მოქმედი სახელმწიფო სერტიფიკატი პედიატრიის სპეციალობაში, რაც სრულად შეესაბამება აღნიშნული პოზიციისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ვიზიტის დროს eSchool ბაზა მონაცემებით სკოლაში დასაქმებული იყო 26 თანამშრომელი, აქედან 17 მასწავლებელი, მათ შორის 9 უფროსია, 1 უფროსი სპეც. მასწავლებლია, 2 მოწვეულის სტატუსის მქონე მასწავალებლი, 3 მასწავლებლი ასწავლის დამატებით სავალდებულო საგანს, 1 დამრიგებელია და 1 სპორტის მასწაავლებლელი, რომელსაც არა აქვს დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია და შესაბამისად არა აქვს კანონმდებლობით განსაზღვრული რომელიმე ერთი სტატუსი მინიჭებული.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სპორტის მასწავლებელს აქვს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მიმართულებით შესაბამისი უმაღლესი განათლება და მრავალწლიანი პროფესიული საქმიანობის გამოცდილება, მათ შორის მაღალკვალიფიციური მწვრთნელის კვალიფიკაცია, თუმცა კანონმდებლობის შესაბამისად არა აქვს შესაბამისი კომპეტენცია.

ინტერვიუებითა და წარმოდგენილი ინფორმაციით დადასტურდა, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა რეგისტრირებულია საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების გამოცდებზე სხვადასხვა საგანში. აღნიშნული უკავშირდება სკოლის საგანმანათლებლო კონცეფციას, რომლის ფარგლებში პედაგოგის მრავალმხრივი პროფესიული კომპეტენცია და სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით სწავლების შესაძლებლობა განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი პროფესიული რესურსი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პერსონალის უმრავლესობა აკმაყოფილებს როგორც მოქმედი კანონმდებლობით, ისე დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ ყველა პოზიციისთვის განსაზღვრულია შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ხოლო პერსონალის პირად საქმეებში დაცულია განათლებისა და პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. ამასთან, სპეციალური რეგულირების სფეროს პოზიციებზე დასაქმებული თანამშრომლები, მათ შორის სკოლის ექიმი, ფლობენ კანონმდებლობით მოთხოვნილ პროფესიულ უფლებამოსილებას. ამავე დროს, სპორტის მასწავლებელს არა აქვს კანონმდებლობით განსაზღვრული მასწავლებლის სტატუსი, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება და პროფესიული გამოცდილება სპორტის სფეროში, აღნიშნული გარემოება არ იძლევა შესაძლებლობას სრულად დადასტურდეს ინდიკატორის მოთხოვნის შესრულება პერსონალის კვალიფიკაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ნაწილში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება: ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. დასკვნის პროექტში ინდიკატორის შეუსაბამოდ შეფასების საფუძველს წარმოადგენდა გარემოება, რომ სპორტის მასწავლებელს არ ჰქონდა კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია. არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში სკოლამ განმარტა, რომ სპორტის მასწავლებელი რეგისტრირებული იყო საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდაზე, რომელიც ჩატარდა 2026 წლის 27 ივლისს, ხოლო გამოცდის შედეგების გამოქვეყნება მოსალოდნელია დაახლოებით 15 აგვისტოდან. ამასთან, ხარვეზის აღმოუფხვრელობის რისკის პრევენციის მიზნით, სკოლამ პარალელურად გამოაცხადა სპორტის მასწავლებლის ვაკანსია (ID 100615).

წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის ღონისძიებების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა დააკორექტირა დასკვნის პროექტში მოცემული შეფასება და ინდიკატორი შეაფასა მეტწილ შესაბამისად. ასევე შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით გასცა რეკომენდაცია.

რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 20 აგვისტომდე, სკოლამ უზრუნველყოს, სკოლაში სპორტის კვალიფიციური მასწავლებლის დასაქმება.

3.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის შეფასების მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის წესდება, შინაგანაწესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ორგანიზაციული სტრუქტურა, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, დოკუმენტი — „თანამშრომლობითი საფუძვლები მენტორისთვის და შეგირდისთვის“, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ასევე გაანალიზა ვიზიტის ფარგლებში გამართული ინტერვიუებით მიღებული ინფორმაცია.

დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში მიღებული მტკიცებულებების ანალიზით დადგინდა, რომ სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომელთა მონაწილეობას, კოლეგიურ პასუხისმგებლობას, ურთიერთნდობას, პროფესიულ მხარდაჭერასა და გუნდურ თანამშრომლობას. აღნიშნული პრინციპები თანმიმდევრულად იკვეთება როგორც სკოლის ჰორიზონტალურ მმართველობით მოდელში, ისე პედაგოგიური და ადმინისტრაციული პროცესების ორგანიზების პრაქტიკაში.

სკოლაში არ მოქმედებს ერთპიროვნულ მართვაზე დაფუძნებული მოდელი. ორგანიზაციის მართვაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება გამგეობას, პედაგოგიურ კოლეგიას, კათედრებს, ხარისხის მართვის ჯგუფსა და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს. გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების პროცესში სხვადასხვა პროფესიული ჯგუფის ჩართულობა უზრუნველყოფს საკითხების მრავალმხრივ განხილვას, პასუხისმგებლობის განაწილებასა და ორგანიზაციის საქმიანობაზე საერთო პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას. ამდენად, მონაწილეობითი მართვა სკოლაში წარმოდგენილია არა მხოლოდ თანამშრომელთა მოსაზრებების მოსმენის ფორმით, არამედ გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესში მათი რეალური ჩართულობით.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა პირდაპირ ეფუძნება თანამშრომელთა მონაწილეობის პრინციპს და ითვალისწინებს პერსონალის ჩართულობას შესრულებული სამუშაოს შეფასების, პროფესიული საჭიროებების გამოვლენისა და განვითარების ღონისძიებების დაგეგმვის პროცესებში. პოლიტიკის მიხედვით, თანამშრომელთა საქმიანობის შეფასება მოიცავს თვითშეფასებას,

უშუალო ხელმძღვანელთან გასაუბრებას, პროფესიულ უკუკავშირსა და გამოცდილების გააზრებას. შეფასება განიხილება არა როგორც მხოლოდ კონტროლის ინსტრუმენტი, არამედ როგორც თანამშრომლის პროფესიული ზრდის, მხარდაჭერისა და ორგანიზაციული განვითარების საფუძველი.

გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული მიდგომა განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება პროფესიული განვითარების ხედვაში. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია, რომ თანამშრომელთა განვითარება ემყარება კოლეგების მხარდაჭერას, გუნდურ მუშაობას, მიზნობრივ დაგეგმვას, პროცესების მონიტორინგსა და რეფლექსიას. ორგანიზაციული ურთიერთობები ეფუძნება ნდობასა და თანამშრომლობას, ხოლო პერსონალის განვითარების მიზანია თანამშრომელთა შესაძლებლობების გამოვლენა და გაძლიერება და არა მხოლოდ მათი საქმიანობის ნაკლოვანებების იდენტიფიცირება.

სკოლაში არსებული თანამშრომლობითი კულტურის მნიშვნელოვანი გამოხატულებაა მენტორობის სისტემა. დოკუმენტი „თანამშრომლობითი საფუძვლები მენტორისთვის და შეგირდისთვის“ მენტორობას განსაზღვრავს გამოცდილების გაზიარების, თანადგომის, პროფესიული განვითარების, ცოდნის გადაცემისა და ორგანიზაციული კულტურის შენარჩუნების საშუალებად. მენტორსა და შეგირდს შორის თანამშრომლობა ეფუძნება ნდობას, მხარდაჭერას, კეთილგანწყობას, პატივისცემას, პირდაპირ უკუკავშირსა და რეფლექსიას. ამასთან, პროფესიული განვითარების მიმართულებები მენტორსა და შეგირდს შორის ერთობლივად განისაზღვრება, რაც თანამშრომლის ინდივიდუალური საჭიროებებისა და ორგანიზაციის ინტერესების დაბალანსებას უზრუნველყოფს.

მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები ასახულია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაშიც. სკოლის პროცესების შემუშავება და განხორციელება ხორციელდება შესაბამის პასუხისმგებელ პირებსა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაციით, ხარისხის მართვის ჯგუფი კი შეფასების პროცესში თანამშრომლობს პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან, იღებს მათგან ინფორმაციას, აძლევს უკუკავშირს და რეკომენდაციების შესრულებას მონიტორინგს უწევს. დასკვნის პროექტის განხილვის პროცესში შეფასების ობიექტს აქვს შესაძლებლობა წარადგინოს საკუთარი მოსაზრებები, არგუმენტირებული შენიშვნები და საკითხის გადაწყვეტის ალტერნატიული გზები. ეს გარემოება დამატებით ადასტურებს, რომ შეფასებისა და განვითარების პროცესები დიალოგსა და თანამშრომლობაზეა დაფუძნებული.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ სკოლის თანამშრომლები საკუთარ თავს ორგანიზაციული განვითარების პროცესის მონაწილეებად აღიქვამენ. მათ კარგად ესმით როგორც საკუთარი ფუნქციები და პასუხისმგებლობები, ისე კოლეგიური ორგანოების დანიშნულება. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა თანამშრომლებს შორის პროფესიული დიალოგის, ცოდნის გაზიარების, საკითხების ერთობლივად განხილვისა და გადაწყვეტილებებზე საერთო პასუხისმგებლობის კულტურა. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლის ორგანიზაციული მოდელი ქმნის გარემოს, სადაც თანამშრომელთა პროფესიული ავტონომია შერწყმულია გუნდურ პასუხისმგებლობასა და ორგანიზაციის საერთო მიზნებთან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სკოლის ჰორიზონტალური და კოლეგიური მმართველობის მოდელი ორგანულად უკავშირდება ვალდორფის საგანმანათლებლო ფილოსოფიას. პერსონალის ჩართულობა მხოლოდ ცალკეული აქტივობებით არ შემოიფარგლება; იგი წარმოადგენს ორგანიზაციული კულტურის საფუძველს და ვლინდება გადაწყვეტილებების მიღებაში, სასწავლო პროცესის დაგეგმვაში, პროფესიულ განვითარებაში, ხარისხის უზრუნველყოფასა და თანამშრომელთა მხარდაჭერაში.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა მკაფიოდ ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. ჰორიზონტალური და კოლეგიური მმართველობის მოდელი, პედაგოგიური კოლეგიისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების რეალური ჩართულობა, თანამშრომელთა მონაწილეობა შეფასებისა და პროფესიული განვითარების პროცესებში, მენტორობის სისტემა, პროფესიული დიალოგი და ურთიერთმხარდაჭერაზე დაფუძნებული ურთიერთობები ქმნის საერთო პასუხისმგებლობისა და თანამშრომლობის მყარ ორგანიზაციულ კულტურას. აღნიშნული მიდგომები ერთმანეთისგან განცალკევებულ მექანიზმებს კი არ წარმოადგენს, არამედ ქმნის ერთიან სისტემას, რომლის ფარგლებშიც თანამშრომელი არის არა მხოლოდ კონკრეტული ფუნქციის შემსრულებელი, არამედ სკოლის მართვის, განვითარების და საგანმანათლებლო მიზნების მიღწევის აქტიური მონაწილე. შესაბამისად, **3.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლაში პროფესიული გამოცდილების აღიარება და გაზიარება ორგანიზაციული კულტურის ნაწილია და ხორციელდება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული მექანიზმით. სკოლის ორგანიზაციულ სტრუქტურაში განსაზღვრული პედაგოგიური კოლეგია წარმოადგენს პედაგოგთა თანამშრომლობისა და პროფესიული საკითხების კოლეგიურად განხილვის მუდმივ ორგანოს. შინაგანაწესის მე-19 მუხლის შესაბამისად, პედაგოგიური კოლეგია ყოველკვირეულად მართავს პედაგოგიურ კონფერენციას, რომელიც ქმნის სისტემურ სივრცეს სასწავლო პროცესის, პედაგოგიური მიდგომების, პროფესიული გამოწვევებისა და თანამშრომელთა გამოცდილების რეგულარული განხილვისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პედაგოგიური კონფერენცია არ წარმოადგენს მხოლოდ ორგანიზაციულ ან საინფორმაციო შეხვედრას. მისი რეგულარული ხასიათი, პედაგოგთა ჩართულობა და განსახილველი საკითხების პროფესიული შინაარსი უზრუნველყოფს პრაქტიკის კოლეგიურ გაანალიზებას, გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, წარმატებული მიდგომების იდენტიფიცირებასა და სხვა თანამშრომლების საქმიანობაში მათ გამოყენებას. ამდენად, წარმატებული გამოცდილების გაზიარება სკოლაში ერთჯერადი აქტივობა კი არა, თანამშრომელთა პროფესიული საქმიანობის უწყვეტი პროცესია.

აღნიშნული მექანიზმის ქმედითობას ადასტურებს ისიც, რომ დოკუმენტი „თანამშრომლობითი საფუძვლები მენტორისთვის და შეგირდისთვის“ მომზადებულია სწორედ პედაგოგიური კონფერენციის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე. ეს

გარემოება მიუთითებს, რომ კონფერენციის ფარგლებში გამოთქმული მოსაზრებები და გაზიარებული გამოცდილება მხოლოდ ზეპირი განხილვის დონეზე არ რჩება — იგი შეიძლება გარდაიქმნას სკოლის საქმიანობის მარეგულირებელ ან მხარდამჭერ დოკუმენტად და ინსტიტუციურ პრაქტიკად. მენტორობის მექანიზმი უზრუნველყოფს გამოცდილ პედაგოგთა პროფესიული ცოდნის ახალ თანამშრომლებზე გადაცემას, პირდაპირ და მაკორექტირებელ უკუკავშირს, რეფლექსიასა და პროფესიული სირთულეების ერთობლივად დაძლევას.

წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მტკიცებულებას წარმოადგენს გამგეობის გადაწყვეტილებაც, რომლითაც სკოლამ უზრუნველყო თანამშრომელთა საერთაშორისო პროფესიულ კონფერენციაში მონაწილეობა. გადაწყვეტილებით განსაზღვრულია მონაწილე თანამშრომლები და ორგანიზაციის მიერ მათი პროფესიული განვითარების ფინანსური მხარდაჭერა. ამავე დოკუმენტით თანამშრომლებს დაევალათ მიღებული ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლების შედეგების შესახებ დეტალური ანგარიშის წარმოდგენა, რაც ქმნის გარედან მიღებული პროფესიული გამოცდილების სკოლის შიგნით დაბრუნებისა და გაზიარების მექანიზმს.

წარმატებული გამოცდილების აღიარება სკოლაში გამოიხატება არა მხოლოდ სიტყვიერ შეფასებაში, არამედ თანამშრომელთა პროფესიული ინიციატივების მხარდაჭერაში, მათი კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის დაფინანსებაში, მენტორის ფუნქციის მინიჭებაში, პროფესიული გამოცდილების კოლეგიურ სივრცეში განხილვასა და მიღებული ცოდნის ორგანიზაციულ პრაქტიკაში ინტეგრირებაში. შესაბამისად, აღიარება და გაზიარება ქმნის ერთიან ციკლს.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ პედაგოგიური კონფერენციები რეგულარულად ტარდება და წარმოადგენს პედაგოგთა პროფესიული დიალოგის მნიშვნელოვან სივრცეს. თანამშრომლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ერთობლივად განიხილავენ სასწავლო და პედაგოგიურ საკითხებს, იღებენ უკუკავშირს და მიღებულ მიგნებებს იყენებენ შემდგომ საქმიანობაში.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ქმედითი და მრავალკომპონენტიანი მექანიზმი. ყოველკვირეული პედაგოგიური კონფერენციები, პედაგოგიური კოლეგიის საქმიანობა, მენტორობის სისტემა, ინდივიდუალური პროფესიული განვითარების დაგეგმვა, თანამშრომელთა პროფესიული აქტივობების ორგანიზაციული და ფინანსური მხარდაჭერა და მიღებული ცოდნის შესახებ ანგარიშგება უზრუნველყოფს წარმატებული გამოცდილების გამოვლენას, გააზრებას, აღიარებას, კოლეგებს შორის გავრცელებასა და სკოლის პრაქტიკაში გამოყენებას. შესაბამისად,

3.1.2.6 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წესდება
- სკოლის ორგანოგრამა
- სამუშაო აღწერილობები
- სკოლის შინაგანაწესი
- 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა
- გამგეობის N240709-01- აგ გადაწყვეტილებით დამტკიცებული- ა(ა)იპ ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- თანამშრომლობითი საფუძვლები მენტორისთვის და შეგირდისთვის
- გამგეობის გადაწყვეტილებები
- მასწავლებლის კონკურსის მასალები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას განსაზღვრული აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირების რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული მექანიზმი. ადამიანუ

რი რესურსების მართვის პოლიტიკაში ცალკე არის განხილული შესრულებული სამუშაოს შეფასებისა და თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარების საკითხები. შეფასება განიხილება როგორც პროფესიული სწავლისა და განვითარების საშუალება და ეფუძნება მხარდაჭერის, პროგრესის მონიტორინგის, უწყვეტი განათლებისა და თანამშრომლობითი განვითარების პრინციპებს.

პერსონალის შეფასებისას სკოლა იყენებს სხვადასხვა წყაროსა და მეთოდს, მათ შორის თანამშრომლის თვითშეფასებას, საქმიანობაზე დაკვირვებას, პროფესიულ გასაუბრებას, მენტორისა და კოლეგების უკუკავშირს, შესრულებული სამუშაოს ანალიზსა და კრიტიკული შემთხვევების განხილვას. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მრავალწყაროიანი მიდგომა იძლევა თანამშრომლის პროფესიული საქმიანობის უფრო სრულყოფილად შეფასებისა და განვითარების საჭიროებების ინდივიდუალურად განსაზღვრის შესაძლებლობას.

შინაგანაწესით ხარისხის მართვის ჯგუფის ერთ-ერთ ფუნქციად განსაზღვრულია მასწავლებელთა და აღმზრდელთა კომპეტენციის ხარისხის შეფასება და მათი პროფესიული განვითარების მიზნით ტრენინგების დაგეგმვა-განხორციელება. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია კლასის მასწავლებლის საგნობრივი ჯგუფის, მასწავლებლის პორტფოლიოსა და საგაკვეთილო პროცესის ხარისხის შეფასება, რაც ადასტურებს, რომ პერსონალის შეფასება დაკავშირებულია როგორც ინდივიდუალურ საქმიანობასთან, ისე სასწავლო პროცესის ხარისხთან .

პროფესიული საჭიროებების დადგენის მექანიზმის პრაქტიკულ განხორციელებას ადასტურებს პედაგოგის პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმა. გეგმის ფორმა მოიცავს განვითარების საჭიროების აღწერას, პროფესიულ მიზანს, განსახორციელებელ აქტივობებს, საჭირო რესურსებს, შესრულების ვადებს, მოსალოდნელ შედეგებსა და შესრულების სტატუსს. მასში პროფესიული განვითარების გზებად წარმოდგენილია მენტორისა და გამოცდილი კოლეგების გაკვეთილებზე დაკვირვება, უკუკავშირის მიღება, ერთობლივი დაგეგმვა, რეფლექსია, კოლეგიუმის საქმიანობაში მონაწილეობა და მიღებული გამოცდილების პრაქტიკაში გამოყენება. აღნიშნული აჩვენებს, რომ გამოვლენილი საჭიროება გარდაიქმნება კონკრეტულ, ვადიან და შედეგზე ორიენტირებულ განვითარების გეგმად.

პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენასა და მხარდაჭერაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მენტორობის სისტემასაც. მენტორი აკვირდება თანამშრომლის პროფესიულ საქმიანობას, აძლევს პირდაპირ და მაკორექტირებელ უკუკავშირს, ეხმარება სირთულეების გააზრებასა და განვითარების კონკრეტული მიმართულებების განსაზღვრაში. ამასთან, პროფესიული განვითარების მიმართულებები მენტორსა და შეგირდს შორის ერთობლივად თანხმდება, რაც თანამშრომლის ინდივიდუალური საჭიროებებისა და ორგანიზაციის მიზნების დაბალანსებას უზრუნველყოფს.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია პედაგოგთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული კონკრეტული აქტივობები, მათ შორის ლექციებზე, გადამზადების კვირეულებსა და სხვა პროფესიულ ღონისძიებებში მონაწილეობა. შესრულების მტკიცებულებებად განსაზღვრულია დასწრების აღრიცხვის დოკუმენტები, მენტორების უკუკავშირი და გაკვეთილებზე დასწრების ცხრილები. ეს ადასტურებს, რომ პროფესიული განვითარება დაკავშირებულია შეფასების შედეგებთან, დაგეგმილ საქმიანობასთან და შესაბამის მტკიცებულებებთან.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ შეფასების შედეგები გამოიყენება თანამშრომელთა განვითარების მიმართულებების დასადგენად. პედაგოგები პროფესიულ საჭიროებებს განიხილავენ მენტორებთან, კოლეგებთან, პედაგოგიური კონფერენციისა და ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში, რის შემდეგაც იგეგმება შესაბამისი მხარდაჭერა — დაკვირვება, კონსულტაცია, მენტორობა, სემინარში მონაწილეობა ან ინდივიდუალური განვითარების აქტივობა.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის სისტემური და მრავალკომპონენტიანი მექანიზმები. შეფასება ეფუძნება თვითშეფასებას, დაკვირვებას, პროფესიულ უკუკავშირს, პორტფოლიოსა და შესრულებული სამუშაოს ანალიზს, ხოლო გამოვლენილი საჭიროებები აისახება ინდივიდუალურ პროფესიული განვითარების გეგმებში და გარდაიქმნება კონკრეტულ მხარდამჭერ აქტივობებად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში შეფასება არ არის მხოლოდ კონტროლის ინსტრუმენტი; იგი წარმოადგენს თანამშრომლის პროფესიული ზრდის, კოლეგიური მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების საფუძველს. შესაბამისად,

3.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

ინდიკატორის შეფასების მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, პერსონალის პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმები, მენტორისა და შეგირდის თანამშრომლობის მარეგულირებელი დოკუმენტები, ახალი პედაგოგის პროფესიული განვითარების ამსახველი დოკუმენტაცია, თანამშრომლის უკუკავშირი, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, პროფესიული განვითარების აქტივობების დამადასტურებელი მასალები და გაითვალისწინა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით მიღებული ინფორმაცია

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარება წარმოადგენს შეფასების პროცესის გაგრძელებას და ეფუძნება თანამშრომელთა ინდივიდუალური პროფესიული საჭიროებების გამოვლენას. გამოვლენილი საჭიროებები ფორმდება

ინდივიდუალურ პროფესიული განვითარების გეგმებში, რომლებშიც განსაზღვრულია განვითარების მიზნები, განსახორციელებელი აქტივობები, რესურსები, ვადები და მოსალოდნელი შედეგები.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ აღნიშნული გეგმები პრაქტიკაში რეალურად ხორციელდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალი პედაგოგის პროფესიული განვითარების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია და შეგირდის უკუკავშირი, საიდანაც იკვეთება პროფესიული განვითარების სრული ციკლი: საჭიროების იდენტიფიცირება → ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავება → მენტორის სისტემური მხარდაჭერა → პროგრესის შეფასება → მიღწეული შედეგების რეფლექსია.

შეგირდის უკუკავშირიდან დგინდება, რომ განვითარების გეგმა ეფუძნებოდა კონკრეტულ პროფესიულ საჭიროებებს — გაკვეთილის დაგეგმვასა და მართვას, მოსწავლეებთან ეფექტურ კომუნიკაციასა და მშობლებთან პროფესიულ თანამშრომლობას. ამ საჭიროებების შესაბამისად განხორციელდა მენტორის ყოველდღიური დაკვირვება, ერთობლივი დაგეგმვა, უკუკავშირის მიწოდება, საჩვენებელი გაკვეთილები, რეფლექსია და პრაქტიკული მხარდაჭერა. შედეგად, თავად პედაგოგი აღწერს პროფესიული დამოუკიდებლობის, თვითრწმენის, კლასის მართვის, კომუნიკაციისა და რეფლექსიის უნარების მნიშვნელოვან განვითარებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული მაგალითი ადასტურებს, რომ სკოლაში პროფესიული განვითარების გეგმა არ წარმოადგენს ფორმალურ დოკუმენტს. იგი გამოიყენება როგორც პრაქტიკული ინსტრუმენტი, რომლის საფუძველზეც მენტორი და თანამშრომელი გეგმავენ პროფესიულ განვითარებას, ახორციელებენ მიზნობრივ აქტივობებს და აფასებენ მიღწეულ შედეგებს. ამასთან, პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმები დაკავშირებულია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმასთან, პედაგოგიური კოლეგიის საქმიანობასთან, მენტორობის სისტემასა და პროფესიულ სემინარებში მონაწილეობასთან, რაც უზრუნველყოფს ინდივიდუალური და ინსტიტუციური განვითარების პროცესების ურთიერთკავშირს.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად. წარმოდგენილი ინდივიდუალური განვითარების გეგმები, მენტორობის სისტემა, თანამშრომლის უკუკავშირი და პროფესიული განვითარების შედეგების ამსახველი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ პროფესიული განვითარება არის მიზანმიმართული, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული და შედეგზე ორიენტირებული პროცესი. შესაბამისად,

3.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა თანამშრომელთა კარიერულ განვითარებას განიხილავს ადამიანური რესურსების მართვის სისტემის მნიშვნელოვან მიმართულებად. პროფესიული განვითარება ეფუძნება თანამშრომელთა ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენას, განვითარების გეგმების შემუშავებას, მენტორობას, პროფესიულ კონფერენციებსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობაში მონაწილეობას.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს თანამშრომელთა პროფესიული კომპეტენციების გაძლიერებას, უწყვეტ განათლებასა და კარიერული განვითარების მხარდაჭერას. აღნიშნული პოლიტიკა არ შემოიფარგლება მხოლოდ ტრენინგებში მონაწილეობით, არამედ ქმნის თანამშრომლის პროფესიული წინსვლისათვის აუცილებელ პირობებს.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სკოლა აქტიურად უწყობს ხელს მასწავლებელთა კარიერულ წინსვლას. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციით დადასტურდა, რომ მასწავლებელთა ნაწილი უკვე რეგისტრირებულია საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების გამოცდებზე, ხოლო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს მათ წარდგენას მასწავლებლის შესაბამისი პროფესიული სტატუსის მინიჭების მიზნით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული მიუთითებს, რომ სკოლა თანამშრომელთა კარიერულ განვითარებას განიხილავს როგორც ორგანიზაციის განვითარების მნიშვნელოვან მიმართულებას და ქმნის შესაბამის ინსტიტუციურ მხარდაჭერას.

ამასთან, სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა მრავალმხრივი პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. ინტერვიუებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადასტურდა, რომ მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გეგმავს სხვადასხვა საგანში საგნობრივი კომპეტენციის დადასტურებას, რაც შეესაბამება სკოლის საგანმანათლებლო მოდელს და ქმნის პედაგოგთა პროფესიული განვითარების დამატებით შესაძლებლობებს.

პროფესიული განვითარების მხარდაჭერა გამოიხატება თანამშრომელთა საერთაშორისო და ადგილობრივ პროფესიულ ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობით, მათი დაფინანსებითა და მიღებული ცოდნის კოლეგებისთვის გაზიარების ვალდებულებით, რაც ქმნის პროფესიული წინსვლისა და ლიდერული უნარების განვითარების შესაძლებლობას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლა ქმნის პერსონალის კარიერული განვითარებისათვის საჭირო გარემოს და უზრუნველყოფს თანამშრომელთა პროფესიული წინსვლის მხარდაჭერას. ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმები, მენტორობის სისტემა, პროფესიულ ღონისძიებებში მონაწილეობა, მრავალმხრივი პროფესიული კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა, ასევე მასწავლებელთა პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცესში სკოლის ინსტიტუციური მხარდაჭერა ადასტურებს, რომ კარიერული განვითარება წარმოადგენს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებას. შესაბამისად,

3.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლაში ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია განიხილება, როგორც ეტაპობრივი, დაგეგმილი და მხარდაჭერაზე დაფუძნებული პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომლის არა მხოლოდ ადმინისტრაციულ, არამედ პროფესიულ და ორგანიზაციულ გარემოში სრულფასოვან ინტეგრაციას.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესს, რომლის ფარგლებში თანამშრომელი ეცნობა სკოლის მისიას, ღირებულებებს, ვალდორფის პედაგოგიკის პრინციპებს, შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს, სამუშაო გარემოსა და ორგანიზაციულ კულტურას. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს თანამშრომლისთვის სამუშაო გარემოს სისტემურ გაცნობასა და პროფესიული საქმიანობის ეფექტიან დაწყებას.

ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის მნიშვნელოვანი მექანიზმია მენტორობის სისტემა. დოკუმენტი „თანამშრომლობითი საფუძვლები მენტორისთვის და შეგირდისთვის“ განსაზღვრავს მენტორისა და შეგირდის თანამშრომლობის მიზნებს, პრინციპებსა და პასუხისმგებლობებს. მენტორი უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის პროფესიულ მხარდაჭერას, სასწავლო პროცესში თანმიმდევრულ ჩართვას, უკუკავშირის მიწოდებას, რეფლექსიასა და პროფესიული სირთულეების ერთობლივ გააზრებას. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული მექანიზმი მნიშვნელოვნად ამცირებს ახალ გარემოსთან ადაპტაციის სირთულეებს და ხელს უწყობს თანამშრომლის პროფესიულ თვითდამკვიდრებას.

ინტეგრაციის პროცესის პრაქტიკულ განხორციელებას ადასტურებს ახალი პედაგოგის პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმაც, რომელიც არ წარმოადგენს მხოლოდ პროფესიული განვითარების დოკუმენტს. გეგმა განსაზღვრავს ახალ თანამშრომელთან განსახორციელებელ კონკრეტულ აქტივობებს — გაკვეთილებზე დაკვირვებას, მენტორთან შეხვედრებს, ერთობლივ დაგეგმვას, კოლეგებთან თანამშრომლობას, უკუკავშირის მიღებასა და ეტაპობრივ პროფესიულ განვითარებას. აღნიშნული მიუთითებს, რომ ინტეგრაცია სკოლაში წინასწარ დაგეგმილი, მიზნობრივი და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული პროცესია.

ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პედაგოგიური კოლეგიის ყოველკვირეული კონფერენციები. აღნიშნული პროფესიული სივრცე ახალ თანამშრომელს შესაძლებლობას აძლევს აქტიურად ჩაერთოს კოლეგიურ განხილვებში, გაეცნოს სკოლის პედაგოგიურ მიდგომებს, მიიღოს პროფესიული უკუკავშირი, გაიზიაროს კოლეგების გამოცდილება და თანდათან გახდეს პროფესიული საზოგადოების სრულფასოვანი წევრი. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სწორედ პედაგოგიური კონფერენციები წარმოადგენს იმ გარემოს, სადაც ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია ბუნებრივად უკავშირდება პროფესიულ განვითარებასა და ორგანიზაციული კულტურის გაზიარებას.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ეფექტიან ინტეგრაციას. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, მენტორობის სისტემა, ახალი პედაგოგის ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმა და პედაგოგიური კოლეგიის საქმიანობა ქმნის ურთიერთდაკავშირებულ მექანიზმს, რომელიც ახალ თანამშრომელს აძლევს შესაძლებლობას ეტაპობრივად შეითავსოს როგორც პროფესიული ფუნქციები, ისე სკოლის ორგანიზაციული კულტურა და ვალდორფის პედაგოგიკის პრინციპები. შესაბამისად, **3.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის ანალიზით ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სკოლაში თანამშრომელთა პროფესიულ

ი ინიციატივების მხარდაჭერა წარმოადგენს ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელოვან კომპონენტს. თანამშრომელთა ინიციატივები განიხილება კოლეგიურ პროფესიულ სივრცეში, ფასდება მათი საგანმანათლებლო ღირებულება, საჭიროების შემთხვევაში იხვეწება კოლეგების რეკომენდაციების საფუძველზე და ორგანიზაციის მხარდაჭერით პრაქტიკაში ხორციელდება.

აღნიშნულის დამადასტურებელია დაწყებითი განათლების კათედრის სხდომის ოქმი, რომლის მიხედვითაც დამხმარე პედაგოგმა წარადგინა მესამე კლასისთვის მოძრავი საკლასო ოთახის პროექტის განვითარების ინიციატივა. კათედრის წევრებმა პროფესიული მსჯელობის საფუძველზე განიხილეს ინიციატივა, გამოთქვეს რეკომენდაციები მისი უსაფრთხოებისა და პედაგოგიური ეფექტიანობის გასაძლიერებლად, რის შემდეგაც ინიციატივა ერთხმად მოიწონეს. ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრა მისი განხორციელების შემდგომი ეტაპები და შესაბამისი რესურსების შეძენის უზრუნველყოფა.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული მაგალითი ადასტურებს, რომ თანამშრომლის ინიციატივა სკოლაში არ რჩება ინდივიდუალურ იდეად. იგი გადის კოლეგიურ პროფესიულ განხილვას, იღებს ორგანიზაციულ მხარდაჭერას, უზრუნველყოფილია აუცილებელი რესურსებით და საბოლოოდ ინერგება სასწავლო პრაქტიკაში. წარმოდგენილი ფოტომასალა ადასტურებს, რომ ინიციატივა წარმატებით განხორციელდა და გახდა სასწავლო გარემოს ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლაში თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები ეფექტიანად არის წახალისებული. თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა წამოაყენონ პროფესიული იდეები, წარადგინონ ისინი კოლეგიური განხილვისათვის, მიიღონ პროფესიული და ორგანიზაციული მხარდაჭერა, უზრუნველყონ საჭირო რესურსები და განახორციელონ ინიციატივები სასწავლო პრაქტიკაში. წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სკოლაში თანამშრომელთა ინიციატივების მხარდაჭერა წარმოადგენს არა ერთჯერად პრაქტიკას, არამედ ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელოვან ელემენტს. შესაბამისად,

3.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გამგეობის N240709-01- აგ გადაწყვეტილებით დამტკიცებული- ა(ა)იპ ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისის- ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“
- თანამშრომლობითი საფუძვლები მენტორისთვის და შეგირდისთვის
- გამგეობის გადაწყვეტილებები.
- პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმა.
- 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა
- დაწყებითი განათლების კათედრის ოქმი №230511-34
- შეგირდის უკუკავშირი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფა რეგულირდება „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით“, რომელიც დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს – გამგეობის გადაწყვეტილებით. პოლიტიკა განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებს, პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს, ორგანიზაციის პროცესების კლასიფიკაციას, ხარისხის უზრუნველყოფის ეტაპებს, შეფასების მეთოდოლოგიასა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის წესს.

დოკუმენტის მიხედვით, ორგანიზაციაში დანერგილია პროცესებზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომლის ფარგლებში საქმიანობა იყოფა მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებად. თითოეული პროცესისთვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული, შეფასების საფუძველი და ხარისხის მართვის ჯგუფის ფუნქცია, რაც უზრუნველყოფს ხარისხის მართვის სისტემურ და ერთიან მიდგომას.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ადგენს, რომ შეფასების პროცესი მოიცავს რისკების შეფასებას, წლიური შეფასების გეგმის შედგენას, პროცესების შეფასებას, დასკვნის მომზადებას, რეკომენდაციების გაცემასა და მათი შესრულების მონიტორინგს, რაც ქმნის ხარისხის უწყვეტი განვითარების მექანიზმს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტში წერია, რომ ხარისხის მართვის ჯგუფი საბოლოო დასკვნას წარუდგენს „დირექტორს“, მაშინ როდესაც სკოლის მართვის მოდელი გამგეობაზეა დაფუძნებული და ერთპიროვნული დირექტორის პოზიცია სხვა დოკუმენტებით არ იკვეთება.

რჩევა: სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ტერმინოლოგია შესაბამისობაში მოვიდეს ორგანიზაციის მოქმედ მმართველობით მოდელთან და დოკუმენტში გამოყენებული
ტერმინი „დირექტორი“ ჩაანაცვლოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ან პირის ზუსტი დასახელებით.

წარმოდგენილი ხარისხის მართვის ჯგუფის 2024–2025 სასწავლო წლის ანგარიში ადასტურებს, რომ შეფასება განხორციელდა პოლიტიკით განსაზღვრული მიდგომების შესაბამისად. ანგარიშში ასახულია ორგანიზაციის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების შეფასება, შესრულებული სამოქმედო გეგმების ანალიზი, გამოვლენილი გამოწვევები, რეკომენდაციები და მათი გამოყენება მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში. ამასთან, ხარისხის ჯგუფის შეფასება ეფუძნება პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებულ ანგარიშებს. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწყებითი განათლების კათედრის რეტროსპექტიული ანგარიში, ასევე საგნობრივი და სადამრიგებლო ანგარიშები, რომლებშიც ასახულია განხორციელებული საქმიანობის შედეგები, მიღწევები, გამოწვევები და მომდევნო პერიოდის რეკომენდაციები. აღნიშნული ადასტურებს, რომ ხარისხის მართვის ჯგუფის შეფასება ეფუძნება მტკიცებულებებს და არა მხოლოდ ადმინისტრაციულ შეფასებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, წარმოდგენილი ანგარიშები ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული. პროცესებზე პასუხისმგებელი პირები ახორციელებენ საკუთარი საქმიანობის რეტროსპექტიულ შეფასებას, აფიქსირებენ გამოწვევებსა და რეკომენდაციებს, ხოლო ხარისხის მართვის ჯგუფი აღნიშნულ ინფორმაციას აერთიანებს, აანალიზებს და იყენებს ორგანიზაციის განვითარების შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვისთვის. აღნიშნული მიუთითებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს როგორც ერთიანი, ურთიერთდაკავშირებული მექანიზმი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას დანერგილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანი შიდა მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ, განსაზღვრავს შეფასების ეტაპებს, პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებსა და პროცესების მართვის პრინციპებს. წარმოდგენილი ხარისხის ჯგუფის ანგარიში და სხვა სტრუქტურული ერთეულების რეტროსპექტიული ანგარიშები ადასტურებს, რომ ხარისხის მართვის სისტემა პრაქტიკაში ფუნქციონირებს, შეფასება ეფუძნება მტკიცებულებებს, ხოლო მიღებული შედეგები გამოიყენება ორგანიზაციის საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისთვის. შესაბამისად, **3.3.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლაში დანერგილია პროცესებზე დაფუძნებული მართვის სისტემა, რომლის საფუძვლებს განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. პოლიტიკის თანახმად, ორგანიზაციის საქმიანობა კლასიფიცირებულია მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებად, რაც ქმნის ორგანიზაციის საქმიანობის ერთიან და სისტემურ მოდელს.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ თითოეული პროცესი აღწერილია შესაბამისი მეთოდოლოგიური დოკუმენტში. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ასევე ადგენს, რომ პროცესების შემუშავება ხორციელდება შესაბამის პროცესზე პასუხისმგებელი პირის მიერ ხარისხის მართვის ჯგუფთან კოორდინაციით, ხოლო მათი დამტკიცება ხდება გამგეობის გადაწყვეტილებით. ამავე დროს, პროცესებზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან საქმიანობაში იხელმძღვანელონ სწორედ ამ დოკუმენტებით, ხოლო ხარისხის მართვის ჯგუფი პროცესების შეფასებას ახორციელებს პროცესის აღწერების საფუძველზე და საჭიროების შემთხვევაში გასცემს რეკომენდაციებს მათი გაუმჯობესების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა ხარისხის მართვის ჯგუფისა და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ანგარიშები, რომლებმაც დაადასტურა, რომ შეფასება სწორედ პროცესების მიხედვით ხორციელდება. წარმოდგენილი ანგარიშები ასახავს თითოეული პროცესის განხორციელების შედეგებს, გამოვლენილ გამოწვევებსა და განვითარების შესაძლებლობებს, რაც მიუთითებს, რომ პროცესების აღწერა

არ წარმოადგენს მხოლოდ ფორმალურ დოკუმენტაციას, არამედ გამოიყენება ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობასა და შეფასების პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლაში პროცესების იდენტიფიცირება და აღწერა წარმოადგენს ხარისხის მართვის სისტემის საფუძველს. ორგანიზაციას მკაფიოდ აქვს განსაზღვრული, რა პროცესებით ხორციელდება მისი საქმიანობა, ვინ არის თითოეულ პროცესზე პასუხისმგებელი, როგორია პროცესის მიზანი, შედეგი და განხორციელების თანმიმდევრობა. აღნიშნული ქმნის პროცესების ერთიან მართვის სისტემას და უზრუნველყოფს საქმიანობის სტანდარტიზებულ, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულ განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლაში იდენტიფიცირებული და აღწერილია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. პროცესების კლასიფიკაცია, მათი ერთიანი სტრუქტურით აღწერა, პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა და პროცესების გამოყენება როგორც საქმიანობის განხორციელების, ისე შეფასების დროს, ადასტურებს, რომ სკოლაში დანერგილია პროცესებზე დაფუძნებული მართვის ეფექტიანი სისტემა. შესაბამისად,

3.3.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

მოსწავლეების, მშობლებისა და თანამშრომლების მიერ საჩივრების წარდგენისა და განხილვის წესი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით, ხოლო ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა დეტალურად არეგულირებს მასწავლებელთა კონკურსის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურას. პოლიტიკა ითვალისწინებს დამოუკიდებელი საპრეტენზიო კომისიის შექმნას, პრეტენზიის წარდგენისა და განხილვის ვადებს, ასევე კანდიდატის სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას.

ამასთანავე, მასწავლებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ მხარეები დავის შემთხვევაში პირველ რიგში ცდილობენ საკითხის ურთიერთშეთანხმებით გადაწყვეტას, განცხადებისა და საჩივრის განხილვა ხორციელდება შინაგანაწესით დადგენილი წესით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულებით ასევე დასტურდება, რომ დასაქმებული შრომითი ურთიერთობის დაწყებამდე ეცნობა შინაგანაწესს, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლაში შექმნილია უფლებების დაცვისა და გადაწყვეტილებების გასაჩივრების მკაფიო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც შიდა განხილვის, ისე კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობას

3.3.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლაში პერსონალისა და მშობლების (კანონიერი წარმომადგენლების) უფლებების დაცვა ეფუძნება ურთიერთდაკავშირებულ სამართლებრივ მექანიზმებს, რომლებიც განსაზღვრულია სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში.

შრომითი ხელშეკრულებით დეტალურად არის განსაზღვრული დასაქმებულისა და დამსაქმებლის უფლებები და მოვალეობები. ხელშეკრულება პირდაპირ ადგენს, რომ შრომითი ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, სკოლის შინაგანაწესითა და სხვა შიდა აქტებით, ხოლო დასაქმებული ხელშეკრულების გაფორმებამდე ეცნობა აღნიშნულ დოკუმენტებს. ამით უზრუნველყოფილია თანამშრომლის ინფორმირებულობა საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ.

შინაგანაწესი მშობლებს ანიჭებს უფლებას მიიღონ ინფორმაცია სასწავლო პროცესის, მოსწავლის განვითარების, მიღებული გადაწყვეტილებებისა და სკოლის საქმიანობის შესახებ, მონაწილეობა მიიღონ სკოლასთან კომუნიკაციაში და დადგენილი წესით წარადგინონ განცხადებები, შენიშვნები და საჩივრები. მშობელთა უფლებების დაცვის მექანიზმებს ავსებს სკოლაში არსებული კოლეგიური მართვის მოდელი, რომლის ფარგლებშიც მშობლებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ სკოლის ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებში და თანამშრომლობის საფუძველზე განიხილონ მნიშვნელოვანი საკითხები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა დამატებით უზრუნველყოფს პერსონალის უფლებების დაცვას შერჩევის ეტაპზეც. პოლიტიკა ადგენს ობიექტური შერჩევის, თანასწორობის, საპრეტენზიო კომისიის, გასაჩივრებისა და სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს კანდიდატთა უფლებების დაცვას კონკურსის მიმდინარეობისას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლაში უფლებების დაცვა ეფუძნება არა ერთ კონკრეტულ დოკუმენტს, არამედ ურთიერთდაკავშირებულ სამართლებრივ მექანიზმებს. პერსონალისა და მშობლების უფლებები უზრუნველყოფილია შრომითი ურთიერთობების, შიდა ადმინისტრაციული პროცედურების, ინფორმირებულობის, საჩივრების განხილვისა და გადაწყვეტილებების გასაჩივრების სისტემების ერთობლიობით, რაც ქმნის სამართლიან, გამჭვირვალე და უფლებებზე ორიენტირებულ ორგანიზაციულ გარემოს.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლაში მოქმედებს პერსონალისა და მშობლების (კანონიერი წარმომადგენლების) კანონიერი უფლებების დაცვის ეფექტიანი მექანიზმები. წარმოდგენილი შიდა სამართლებრივი აქტები უზრუნველყოფს უფლებებისა და მოვალეობების მკაფიო განსაზღვრას, ინფორმირებულობას, მონაწილეობას, საჩივრების განხილვისა და დავების გადაწყვეტის პროცედურებს, რაც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს და ხელს უწყობს სამართლიანი და პარტნიორული გარემოს ჩამოყალიბებას. შესაბამისად, **3.3.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის გამგეობის 2024 წლის 30 ივლისის №240730-01-აგ გადაწყვეტილებით დამტკიცებული-ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- ხარისხის ჯგუფის ანგარიში
- სკოლის შინაგანაწესი
- შრომითი ხელშეკრულება
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- ა(ა)იპ ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისის დაწყებითი განათლებისკათედრის მუშაობის რეტროსპექტიული ანგარიში
- სემესტრული საგნობრივი/სადამრიგებლო ანგარიშები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლაში არსებობს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და უკუკავშირის მიღების მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად, დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები გამოიყენება პროცესების შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

წარმოდგენილი მშობელთა უკუკავშირის ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლა სისტემატურად აგროვებს მშობლების მოსაზრებებს სხვადასხვა აქტივობისა და სკოლის მუშაობის შესახებ. უკუკავშირი არ შემოიფარგლება მხოლოდ კმაყოფილების დონის განსაზღვრით; ანალიზში შეფასებულია მშობლების რეკომენდაციები, გამოვლენილია მათი საჭიროებები და შემდგომი განვითარების მიმართულებები. მაგალითად, „ერთად თამაშის დრო“ ვორკშოპის შეფასებისას გაანალიზდა მონაწილეთა კმაყოფილების დონე, პრაქტიკული შედეგები და დეტალურად დაჯგუფდა მშობლების რეკომენდაციები ღონისძიების სიხშირის, ორგანიზების, აქტივობებისა და რესურსების გაუმჯობესების მიმართულებით. ასევე შეფასდა მშობლების მზაობა მომავალ ღონისძიებებში ჩართულობისა და მათი ინტერესები ახალი მხარდამჭერი

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ სკოლა მიღებულ უკუკავშირს იყენებს მართვითი გადაწყვეტილებების მისაღებად. აღნიშნულს ადასტურებს დაწყებითი განათლების კათედრის ოქმი, რომლის მიხედვითაც „მშობლის გზამკვლევის“ შექმნის ინიციატივა სწორედ მშობელთა კრებებიდან მიღებულ უკუკავშირს დაეფუძნა. ამასთან, კათედრამ გადაწყვიტა, რომ დოკუმენტის პირველადი ვერსია მშობლებს გაეგზავნოს დამატებითი მოსაზრებების მისაღებად, ხოლო მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელდეს მისი საბოლოო რედაქტირება და დამტკიცება. აღნიშნული ცხადყოფს, რომ სკოლა უკუკავშირს განიხილავს არა როგორც ფორმალურ პროცედურას, არამედ როგორც დოკუმენტების თანაშექმნისა და გადაწყვეტილებების გაუმჯობესების ინსტრუმენტს.

სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მექანიზმების ნაწილში ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა საინფორმაციო დოკუმენტი „ერთი დღე სკოლაში“, რომლის საშუალებითაც მშობლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს ეცნობათ სკოლის საგანმანათლებლო მოდელი, ვალდორფის პედაგოგიკის პრინციპები, სასწავლო გარემო და ორგანიზაციის ღირებულებები. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მსგავსი საინფორმაციო მასალები ხელს უწყობს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობას, საზოგადოების ინფორმირებულობასა და ნდობის გაძლიერებას.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით ასევე დადასტურდა, რომ სკოლა იყენებს კომუნიკაციის მრავალ ფორმას — ინდივიდუალურ შეხვედრებს, მშობელთა კრებებს, პედაგოგიურ კონფერენციებსა და წერილობით კომუნიკაციას — რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ გავრცელებასა და უკუკავშირის მიღებას სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფისგან.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლას აქვს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმები. წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სკოლა სისტემატურად უზრუნველყოფს მშობლებისა და

სხვა დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას, აგროვებს მათ მოსაზრებებს, ახორციელებს მიღებული ინფორმაციის ანალიზს და იყენებს მას ორგანიზაციული გადაწყვეტილებებისა და პროცესების გაუმჯობესების მიზნით. შესაბამისად,

3.3.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის ანალიზით ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სკოლაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა წარმოადგენს ორგანიზაციის მართვის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს. სკოლის მმართველობის მოდელი ეფუძნება კოლეგიურ და ჰორიზონტალურ მართვას, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული მონაწილეობს გადაწყვეტილებების მომზადებაში, განხილვასა და განხორციელებაში.

სკოლის ორგანიზაციული მოწყობა ითვალისწინებს კოლეგიური მართვის რამდენიმე ფორმას, მათ შორის პედაგოგიურ კონფერენციას, კათედრებს, ხარისხის მართვის ჯგუფს, ადმინისტრაციულ შეხვედრებსა და სხვა სამუშაო ფორმატებს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და სხდომების ოქმები ადასტურებს, რომ აღნიშნული ორგანოები არ ასრულებენ მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქციას, არამედ აქტიურად მონაწილეობენ სკოლის საქმიანობის დაგეგმვასა და განვითარების მიმართულებების განსაზღვრაში.

ექსპერტთა ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა პედაგოგიური კონფერენციის საქმიანობაზე. წარმოდგენილი მასალებითა და ინტერვიუებით დადასტურდა, რომ კონფერენცია წარმოადგენს რეგულარულ პროფესიულ სივრცეს, სადაც განიხილება როგორც სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები, ისე სკოლის განვითარების, პროფესიული მხარდაჭერისა და ორგანიზაციული გადაწყვეტილებების მნიშვნელოვანი მიმართულებები. აღნიშნული ფორმატი უზრუნველყოფს პედაგოგების რეალურ მონაწილეობას სკოლის მართვის პროცესებში და აძლიერებს კოლეგიური პასუხისმგებლობის კულტურას.

ამასთან, კათედრების საქმიანობის ანალიზმა აჩვენა, რომ კოლეგიური მონაწილეობა ვლინდება არა მხოლოდ გადაწყვეტილებების მიღების, არამედ მათი ერთობლივი შემუშავების პროცესშიც. ამის მაგალითია „მშობლის გზამკვლევის“ შექმნის პროცესი, რომლის ინიციატივა დაეფუძნა მშობელთა უკუკავშირს. კათედრამ არა მხოლოდ განიხილა დოკუმენტის სამუშაო ვერსია, არამედ მიიღო გადაწყვეტილება მისი მშობლებისთვის გაზიარებისა და საბოლოო რედაქციის მომზადებისას მათი მოსაზრებების გათვალისწინების შესახებ. აღნიშნული მიუთითებს, რომ სკოლა მართვის პროცესებში აქტიურად რთავს მშობლებსაც და გადაწყვეტილებების მიღებას თანამშრომლობით პროცესად განიხილავს.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ თანამშრომლები და მშობლები საკუთარ მონაწილეობას აღიქვამენ არა ფორმალურ ვალდებულებად, არამედ სკოლის განვითარების პროცესში რეალური თანამონაწილეობის შესაძლებლობად.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული გარემო აძლიერებს ურთიერთნდობას, პასუხისმგებლობის განაწილებასა და ორგანიზაციისადმი კუთვნილების განცდას.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ეფექტიანად უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებასა და მართვის კოლეგიურ ორგანოებში ჩართულობას. ორგანიზაციული მოწყობა, პედაგოგიური კონფერენციის საქმიანობა, კათედრების მუშაობა, ხარისხის მართვის სისტემაში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა, მშობელთა უკუკავშირის სისტემური გამოყენება და გადაწყვეტილებების თანამშრომლობითი შემუშავების პრაქტიკა ადასტურებს, რომ სკოლაში დანერგილია მონაწილეობით მმართველობაზე დაფუძნებული ეფექტიანი ორგანიზაციული კულტურა. შესაბამისად,
3.3.2.2. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წესდება
- სკოლის სტრუქტურა
- დაწყებით კათედრის ოქმები
- გამოგეობის გადაწყვეტილებები

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ვიზიტისას დადგინდა, რომ ახალი შენობა, სადაც სკოლა გეგმავს საქმიანობის განხორციელებას მოსწავლეთა გაზრდილი კონტინგენტის პირობებში, შეფასების მომენტისთვის ჯერ კიდევ იმყოფებოდა სამშენებლო-სარემონტო პროცესში. ვიზიტის დროს მიმდინარეობდა საინჟინრო სისტემების მოწყობა, მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების (კვამლის დეტექტორებისა და ავტომატური ხანძარქრობის სისტემის) მონტაჟი, ხოლო ეზოს ინფრასტრუქტურის მოწყობა დასრულებული არ იყო.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაადგინა, რომ შეფასების განხორციელების დროს:

- სკოლას წარმოდგენილი არ ჰქონდა **უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების (მდგრადობის) დასკვნა**;
- არ იყო წარმოდგენილი **სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მიერ ახალი შენობის მიმართ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი**, რომელიც დაადასტურებდა შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- მიუხედავად იმისა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შემუშავებულია და დამტკიცებულია სკოლის უფლებამოსილი ორგანოს მიერ, **იგი შეფასების მომენტისთვის უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოსთან შეთანხმებული არ იყო**.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სკოლას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. შექმნილია ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ორგანიზაციული და მართვის მექანიზმები. დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, ფუნქციონირებს შრომის უსაფრთხოების სისტემა, ხოლო საგანგებო სიტუაციების

მართვის გეგმა დეტალურად არეგულირებს რისკების შეფასების, პრევენციის, მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებებს, განსაზღვრავს საგანგებო შტაბის შემადგენლობას, პასუხისმგებლობებს, ევაკუაციის წესსა და რეაგირების პროცედურებს.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა უსაფრთხოების მიმართულებით განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის ამსახველი მასალები, რომლებიც ადასტურებს, რომ სკოლაში სისტემატურად ტარდება თანამშრომელთა ინსტრუქტაჟები, სწავლება და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებები. ამასთან, სკოლის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ დაწესებულებას აღნიშნული მიმართულებით უკვე გააჩნია პრაქტიკული გამოცდილება, ხოლო მოქმედ მისამართზე მიღებული ჰქონდა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის დასკვნა, რომლის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები ეტაპობრივად სრულდებოდა.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლაში შექმნილია ფიზიკური უსაფრთხოების მართვის ორგანიზაციული სისტემა და იკვეთება დაწესებულების პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება უსაფრთხოების კულტურის მიმართ. თუმცა, შეფასების განხორციელების დროისთვის ახალი სასწავლო სივრცის უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის აუცილებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები სრულად წარმოდგენილი არ იყო, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, რის გამოც შეუძლებელი იყო ინდიკატორის ყველა მოთხოვნის შესრულებულად მიჩნევა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სკოლის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა მასშტაბური სამშენებლო სამუშაოები. მთელი სამშენებლო მოედანი შემოღობილია. თუმცა, შეფასების განხორციელების პერიოდში დაწყებით საფეხურის სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი ეზო არ იყო გამიჯნული სამშენებლო სამუშაოების ზონისგან, რის გამოც მოსწავლეთა გადაადგილებისთვის განკუთვნილი სივრცე სრულად ვერ აკმაყოფილებდა უსაფრთხოების მოთხოვნებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად სკოლაში უსაფრთხოების მართვის სისტემის არსებობისა, შეფასების მომენტისთვის არ იყო წარმოდგენილი ინდიკატორით მოთხოვნილი ყველა სავალდებულო დოკუმენტი, კერძოდ: შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების (მდგრადობის) შესახებ უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა, ახალი შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი და უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ამასთან, ახალი სასკოლო ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ არ იყო სრულად დასრულებული. ასევე არ იყო დაწყებითი საფეხურისთვის განსაზღვრული სკოლის პერიმეტრის შემოღობილი.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება: ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილი ინფორმაციით, შენობის მდგრადობის საკითხთან დაკავშირებით მშენებელმა კომპანიამ კონსულტაციისთვის მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და შესაბამისი დასკვნის მიღების პროცედურა განხორციელდება თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურთან პროექტის კორექტირების მიმდინარე პროცესის დასრულების შემდეგ. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების მიზნით სკოლამ 2026 წლის 5 აგვისტოს მიმართა შესაბამის სამსახურს. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან

შესაბამისობის დადგენის მიზნით უფლებამოსილი უწყებისთვის მიმართვა დაგეგმილია სარემონტო სამუშაოების დასრულებისთანავე, არაუგვიანეს 31 აგვისტოსი, ხოლო დაწყებითი საფეხურისთვის განკუთვნილი ტერიტორიის სამშენებლო ზონისგან სრულად გამიჯვნა — არაუგვიანეს 25 აგვისტოსი. განსაზღვრული ღონისძიებების, მათი განხორციელების ვადებისა და უკვე დაწყებული პროცესების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა მეტწილ შესაბამისად და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის საფუძველზე გასცა შემდეგი რეკომენდაცია.

რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა. კერძოდ,

- 2026 წლის 17 აგვისტომდე თბილისის მერიის არქიტექტურულ სამსახურის მიერ კორეტირებული პროექტის შეთანხმების მოპოვება
- 2026 წლის 31 აგვისტომდე შპს კამპუს კონსტრაქშენ დეველოპმენტის მიერ ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის შესახებ დასკვნის
  მოპოვება.
- 2026 წლის 17 აგვისტომდე უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოპოვება
- 2026 წლის 4 სექტემბრამდე შსს მმართველობის სფეროში მოქმედი- სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სამუშაოების შესრულების სააგენტოსთან მიმართვა- ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის მოპოვების მიზნით.
- 2026 წლის 25 აგვისტომდე სკოლის პერიმეტრის გამიჯვნის დასრულება.

3.4.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზების მარეგულირებელი დოკუმენტები, პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, პირველადი დახმარების ინვენტარის შესყიდვის დამადასტურებელი მასალები და ადგილზე ვიზიტის ფარგლებში დაათვალიერა ახალი სასკოლო შენობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალი, განსაზღვრულია პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი, სამედიცინო პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები და წარმოდგენილია პირველადი დახმარებისათვის საჭირო ინვენტარის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სკოლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, ახალ შენობაში გათვალისწინებულია დამოუკიდებელი სამედიცინო კაბინეტის მოწყობა, თუმცა შეფასების განხორციელების მომენტისთვის აღნიშნული სივრცე ჯერ არ იყო დასრულებული და ფუნქციონირებაში შესული. შესაბამისად ვერ განხორციელდა მისი შეფასება, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ / №01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით,

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სკოლას შექმნილი აქვს პირველადი დახმარების აღმოჩენის ორგანიზაციული მექანიზმები, ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალი და დაგეგმილი აქვს ახალ შენობაში სამედიცინო კაბინეტის მოწყობა. მიუხედავად ამისა, შეფასების განხორციელების დროისთვის სამედიცინო კაბინეტი არ იყო მოწყობილი, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეაფასა მისი შესაბამისობა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ / №01-23/ნ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებთან.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შეფასების განხორციელების მომენტისთვის ინდიკატორის მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილებული არ იყო, რადგან სკოლაში არ ფუნქციონირებდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად მოწყობილი სამედიცინო კაბინეტი, რაც შეუძლებელს ხდიდა პირველადი დახმარები

ს ორგანიზების პირობების სრულფასოვან შეფასებას. **არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება:** ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. სკოლის მიერ წარმოდგენილი გეგმის შესაბამისად, სამედიცინო კაბინეტის სრულად მოწყობა და ამოქმედება, მათ შორის დამატებითი საჭირო ინვენტარის — ტახტისა და მოძრავი შირმის — შეძენა, განსაზღვრულია არაუგვიანეს 2026 წლის 31 აგვისტოსი. სკოლა ასევე გეგმავს ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებებისა და ფოტომასალის საბჭოს სხდომაზე წარმოდგენას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა მეტწილ შესაბამისად და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის საფუძველზე გასცა რეკომენდაცია

რეკომენდაცია:სკოლამ,შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 31 აგვისტომდე უზრუნველყოს სარემონტო სამუშაოების დასრულება და სამედიცინო კაბინეტის ბოლომდე აღჭურვა.

3.4.1.2 ინდიკატორის მთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლას შემუშავებული და უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნებს, პრევენციულ

ღონისძიებებს, უფლებამოსილი პირისა და დაცვის თანამშრომლის ფუნქციებს, დარღვევათა აღრიცხვისა და მათზე რეაგირების პროცედურებს, უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასებას, ძალადობის რისკების გამოვლენასა და კოლეგიური მრჩეველთა საბჭოს საქმიანობას. წესის შესაბამისად, სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია გამგეობის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი და სკოლის გამგეობა, ხოლო შენობის დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაცვის თანამშრომლის ან შესაბამისი მომსახურების საშუალებით. დოკუმენტში ასევე გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინფორმირება, მოსწავლეთა უფლებებისა და ქცევის წესების გაცნობა, უსაფრთხოების მდგომარეობის პერიოდული შეფასება და გამოვლენილ შემთხვევებზე შესაბამისი რეაგირება.

ვიზიტის დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები კანონმდებლობის შესაბამისად არ იყო შეთანხმებული განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსთან. სკოლას სამინისტროსთან წესის შეთანხმების მიმართულებით განხორციელებული აქვს კონკრეტული მოქმედებები. სამინისტროს 2022 წლის წერილით, სკოლას მიეცა რეკომენდაციები წარმოდგენილი წესის კერძო სკოლის სამართლებრივ და ორგანიზაციულ სპეციფიკასთან შესაბამისობაში მოსაყვანად. 2026 წლის 7 ივლისს სკოლამ განახლებული რედაქცია კვლავ წარადგინა სამინისტროში და ამავე საკითხზე შუამდგომლობის მიზნით მიმართა საგანმანათლებლო რესურსცენტრს. აღნიშნული ადასტურებს, რომ სკოლამ დაიწყო წესის შეთანხმების პროცესი და რეაგირება მოახდინა სამინისტროს მიერ ადრე გაცემულ შენიშვნებზე. თუმცა, შეფასების განხორციელების მომენტისთვის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი სამინისტროსთან საბოლოოდ შეთანხმებული არ იყო. შესაბამისად, ვერ დადასტურდა კერძო სკოლისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეთანხმებული წესის არსებობა.

ამასთან, ადგილზე ვიზიტის დროს ახალი შენობა ჯერ კიდევ სარემონტო-სამშენებლო პროცესში იყო. საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია ვიდეომეთვალყურეობის კამერების განთავსება შენობის სართულებსა და გარე პერიმეტრზე, თუმცა, კამერები ვიზიტის დროს დამონტაჟებული და ფუნქციონირებადი სახით ვერ შეფასდა. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფს არ მიეცა ვიდეომეთვალყურეობის სისტემის ფაქტობრივი დაფარვის არეალის, ტექნიკური გამართულობის, ჩანაწერების შენახვისა და შესაბამისი წვდომის რეჟიმის შეფასების შესაძლებლობა. ტერიტორიის შესასვლელთან საპროექტო და ინფრასტრუქტურული გადაწყვეტით გათვალისწინებულია დაცვის პოსტი, რომელიც უნდა ემსახურებოდეს ტერიტორიაზე შესვლა-გასვლის კონტროლსა და დაცვის თანამშრომლის საქმიანობას. თუმცა, ახალი შენობისა და ეზოს მოწყობის დაუსრულებლობის გამო, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ყველა ინფრასტრუქტურული მექანიზმის ფუნქციონირება შეფასების მომენტისთვის პრაქტიკულად ვერ დადასტურდა.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შინაარსობრივად მრავალკომპონენტიანი მექანიზმი, განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირები და დაწყებული აქვს წესის სამინისტროსთან შეთანხმების პროცესი. ამასთან, ახალი შენობის პროექტში გათვალისწინებულია ვიდეომეთვალყურეობის სისტემა და ტერიტორიის შესასვლელთან

დაცვის პოსტი. მიუხედავად ამისა, შეფასების მომენტისთვის წესის სამინისტროსთან შეთანხმება დასრულებული არ იყო, ხოლო ახალი სივრცის ვიდეომეთვალყურეობისა და დაცვის ინფრასტრუქტურა დასრულებული და ფუნქციონირებადი სახით ვერ შეფასდა.
დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შეფასების განხორციელების მომენტისთვის ინდიკატორის მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილებული არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას შემუშავებული და გამგეობის მიერ დამტკიცებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, განსაზღვრული აქვს პასუხისმგებელი პირები და დაწყებული აქვს სამინისტროსთან შეთანხმების პროცესი, აღნიშნული წესი ვიზიტის დროისთვის სამინისტროსთან შეთანხმებული არ ყოფილა. ამასთან, ამასთან, ვერ დადასტურდა ახალ შენობასა და ტერიტორიაზე დაგეგმილი ვიდეომეთვალყურეობისა და დაცვის სხვა ინფრასტრუქტურული მექანიზმების დასრულებული და ფაქტობრივი ფუნქციონირება.
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება: ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. არგუმენტირებული პოზიციის თანახმად, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი უკვე სამინისტროს განხილვის პროცესშია და პასუხის მიღება მოსალოდნელია არაუგვიანეს 15 აგვისტოსი. ამასთან, ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მოწყობასთან დაკავშირებით სკოლას გავლილი აქვს კონსულტაციები მშენებელ კომპანიასთან, განსაზღვრულია ვიდეომეთვალყურეობის დაფარვის ზონები, ხოლო სისტემის სრულად დამონტაჟება, მონიტორინგის პულტის მოწყობის ჩათვლით, დაგეგმილია სარემონტო სამუშაოების დასრულებისთანავე — არაუგვიანეს 31 აგვისტოსი. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. აღნიშნულის გათვალიწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა მეტწილ შესაბამისად და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის საფუძველზე გასცა რეკომენდაცია

რეკომენდაცია: სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. კერძოდ,

- 2026 წლის 15 აგვისტომდე უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების დოკუმენტის შეთანხმება
- 2026 წლის 31 აგვისტომდე შპს კამპუს კონსტრაქშენ დეველოპმენტის მიერ კამერების დამონტაჟება და ფუქციური გამართვა

3.4.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა წარმოადგენს სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს. აღნიშნული მიმართულება რეგულირდება „მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მხარდაჭერის წესით“, რომელიც დამტკიცებულია სკოლის გამგეობის გადაწყვეტილებით და

განსაზღვრავს მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური საჭიროებების ადრეული იდენტიფიცირების, შეფასების, მხარდაჭერის, მონიტორინგისა და საჭიროების შემთხვევაში რეფერირების ერთიან პროცედურებს.

დოკუმენტით განსაზღვრულია ფსიქოლოგიური და ემოციური საჭიროებების გამოვლენის სხვადასხვა გზა. მოსწავლის მდგომარეობის იდენტიფიცირება შესაძლებელია როგორც კლასის ან საგნის მასწავლებლის დაკვირვების საფუძველზე, ასევე თავად მოსწავლის, მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) ან ნებისმიერი თანამშრომლის მიერ ინიცირებული მიმართვის გზით. დოკუმენტი ადგენს, რომ ძალადობის, ბულინგის, ემოციური კრიზისის ან სხვა რისკის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიეწოდება ადმინისტრაციას, რაც უზრუნველყოფს დროულ რეაგირებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, განსაკუთრებულად აღსანიშნავია, რომ მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის პირველადი შეფასება ხორციელდება დაწყებითი განათლების კათედრის ფარგლებში, სკოლის ფსიქოლოგისა და ყველა პედაგოგის მონაწილეობით. აღნიშნული კოლეგიური მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლის საჭიროებების მრავალმხრივ შეფასებას და სრულად შეესაბამება სკოლის ვალდორფულ საგანმანათლებლო ფილოსოფიას, რომელიც მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებასა და პროფესიული თანამშრომლობის პრინციპებს ეფუძნება. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია კათედრის საგანგებო შეხვედრის მოწვევაც, ხოლო შეფასების შედეგების საფუძველზე განისაზღვრება სკოლის ფსიქოლოგის მხარდაჭერის ფორმა, მულტიდისციპლინური გუნდის ჩართულობის აუცილებლობა ან გარე უწყებებში რეფერირების საჭიროება.

კრიზისული შემთხვევების დროს სკოლა მოქმედებს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილებით განსაზღვრული ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაადგინა, რომ ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პროცესი არ სრულდება მხოლოდ მომსახურების გაწევით. დოკუმენტით განსაზღვრულია შედეგების შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები, რომლის ფარგლებში კლასის მასწავლებელი და ფსიქოლოგი ერთობლივად აფასებენ მოსწავლის პროგრესს, აწარმოებენ ჩანაწერებს, პერიოდულად განიხილავენ დინამიკას კათედრის ფარგლებში და საჭიროების შემთხვევაში იღებენ დამატებით გადაწყვეტილებებს. აღნიშნული უზრუნველყოფს მხარდაჭერის პროცესის უწყვეტობასა და ეფექტიანობას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლაში შექმნილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ეფექტიანი და სისტემური მექანიზმი. განსაკუთრებულად აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა მხარდაჭერა ეფუძნება ადრეულ იდენტიფიცირებას, პედაგოგებისა და ფსიქოლოგის კოლეგიურ თანამშრომლობას, მშობლის აქტიურ ჩართულობას, კონფიდენციალურობის დაცვას, საჭიროების შემთხვევაში მულტიდისციპლინური გუნდისა და გარე უწყებების ჩართვას, რაც სრულად შეესაბამება ვალდორფის პედაგოგიკის ჰოლისტურ და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს. წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტები, პასუხისმგებელი პირების ფუნქციები, ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მრავალსაფეხურიანი სისტემა, კოლეგიური შეფასების მექანიზმები, მშობელთა ჩართულობა და შედეგების მონიტორინგის

პროცედურები ადასტურებს, რომ სკოლაში დანერგილია ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ეფექტიანი სისტემა. შესაბამისად, **3.4.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლაში შემუშავებულია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები, რომლებიც არეგულირებს სასწავლო სივრცეების, სველი წერტილების, საერთო სარგებლობის ადგილების, ინვენტარისა და ზედაპირების დასუფთავებისა და დეზინფექციის წესს, პასუხისმგებელ პირებს, გამოყენებულ სადეზინფექციო საშუალებებსა და შესრულებული სამუშაოების კონტროლის ფორმებს. დოკუმენტით განსაზღვრულია როგორც ყოველდღიური, ისე პერიოდული დასუფთავების პროცედურები, შესაბამისი აღრიცხვის ფორმები და პასუხისმგებლობის განაწილება.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაადგინა, რომ სკოლა სისტემატურად ახორციელებს სასმელი წყლის ლაბორატორიულ კონტროლს. წარმოდგენილია აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ შესრულებული მიკრობიოლოგიური კვლევების შედეგები, რომლებიც ადასტურებს სასმელი წყლის ხარისხის მონიტორინგის პრაქტიკას.

ამასთან, სკოლის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ კვების ბლოკის საქმიანობა ორგანიზებულია HACCP-ის პრინციპების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სურსათის უვნებლობის სისტემურ მართვას, საფრთხეების იდენტიფიცირებასა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების მონიტორინგს.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე ვიზიტისას დაადგინა, რომ ახალი შენობა შეფასების განხორციელების დროისთვის ჯერ კიდევ იმყოფებოდა სამშენებლო-სარემონტო პროცესში. შესაბამისად, სველი წერტილები, ხელის დასაბანი სივრცეები და სანიტარიულ-ჰიგიენური ინფრასტრუქტურა საბოლოოდ მოწყობილი და ექსპლუატაციაში მიღებული არ იყო, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფს არ მიეცა შესაძლებლობა შეეფასებინა მათი შესაბამისობა მოქმედი სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების მოთხოვნებთან, მათ შორის ჰიგიენური პირობების ფაქტობრივი დაცვა, აღჭურვილობა, ხელმისაწვდომობა, წყალმომარაგებისა და სანიტარიული კვანძების ფუნქციონირება.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სკოლაში შექმნილია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ორგანიზაციული სისტემა, განსაზღვრულია დასუფთავებისა და დეზინფექციის მექანიზმები, ტარდება სასმელი წყლის ლაბორატორიული კონტროლი და კვების ბლოკში დანერგილია HACCP-ის პრინციპები. თუმცა, შეფასების განხორციელების მომენტისთვის ახალი შენობის სანიტარიულ-ჰიგიენური ინფრასტრუქტურა, მათ შორის სველი წერტილები, დასრულებული და ფუნქციონირებადი არ იყო, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეძლო მათი შესაბამისობის შეფასება მოქმედი სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების შესაბამისად.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება: ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. სკოლას შესაბამისი სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით შეთანხმებული აქვს საკითხები მშენებელ

კომპანიასთან და სანიტარიულ-ჰიგიენური ინფრასტრუქტურისა და სველი წერტილების სრულად მოწყობისა და ამოქმედების ვადად განსაზღვრული აქვს არაუგვიანეს 2026 წლის 31 აგვისტო. ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი ფოტომასალის წარმოდგენა დაგეგმილია საბჭოს სხდომაზე. აღნიშნულის გათვალიწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა მეტწილ შესაბამისად და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის საფუძველზე გასცა რეკომენდაცია.

რეკომენდაცია: სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 31 აგვისტომდე, უზრუნველყოს შპს კამპუს კონსტრაქშენ დეველოპმენტის მიერ სანიტარულ-ჰიგიენური ინფრასტრუქტურის მოწყობა.

3.4.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლაში მოქმედებს გამგეობის მიერ დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი, რომელიც შემუშავებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და არეგულირებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სრულ პროცესს. დოკუმენტში განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების მიზნები, სამართლებრივი საფუძვლები, მონაცემთა კატეგორიები, მონაცემთა სუბიექტების უფლებები, მონაცემთა შენახვის ვადები, უსაფრთხოების ზომები, ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესები, მონაცემებზე წვდომის მექანიზმები და თანამშრომელთა ვალდებულებები

სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია სკოლის გამგეობის წინაშე. ოფიცრის უფლებამოსილებები მოიცავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესების კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტროლს, მონაცემთა დაცვის რისკების შეფასებაში მონაწილეობას, პერსონალის ინფორმირებასა და გადამზადებას, მონაცემთა სუბიექტების განცხადებებისა და საჩივრების განხილვას, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან თანამშრომლობასა და მონაცემთა დაცვის შესაძლო დარღვევებზე რეაგირებას.

დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია მონაცემთა კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. პერსონალურ მონაცემებზე წვდომა მინიჭებული აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს, რომელთაც ეს საკუთარი სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად სჭირდებათ. ელექტრონულ სისტემებზე წვდომა ხორციელდება ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და რთული პაროლის გამოყენებით, ხოლო თანამშრომლებისთვის განსაზღვრულია მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვისა და ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის ვალდებულებები. ამასთან, დოკუმენტით უზრუნველყოფილია მონაცემთა სუბიექტების უფლებების რეალიზების მექანიზმები, მათ შორის მონაცემებზე წვდომის, მონაცემთა გასწორების, დაბლოკვის, წაშლის, განადგურების, დამუშავების შეწყვეტისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა და სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობა.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სკოლაში მოქმედებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში შემუშავებული პოლიტიკა და პროცედურები, განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების, შენახვის, უსაფრთხოების, წვდომისა და მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლას ჰყავს დამოუკიდებელი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული პროცესების კანონმდებლობასთან შესაბამისობის ზედამხედველობას. შესაბამისად,

3.4.1.6 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში შექმნილია არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები, რომლებიც მოიცავს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით არსებული ინფორმაციის უსაფრთხო შენახვას, დამუშავებასა და გამოყენებას.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესით დეტალურადაა განსაზღვრული ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. დოკუმენტით რეგულირდება მონაცემთა შენახვის ვადები, დოკუმენტების არქივირების წესი, ინფორმაციის გაცემისა და მასზე წვდომის პროცედურები, თანამშრომელთა უფლებამოსილებები, აგრეთვე მატერიალური და ელექტრონული დოკუმენტაციის დაცვის ღონისძიებები. აქტიურ და საარქივო დოკუმენტაციაზე წვდომა შეზღუდულია და ხორციელდება მხოლოდ უფლებამოსილი პირების მიერ, შესაბამისი აღრიცხვის საფუძველზე.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაადგინა, რომ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა ხორციელდება ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და რთული პაროლის გამოყენებით, თანამშრომლებს განსაზღვრული აქვთ პაროლების პერიოდული ცვლილების, მათი კონფიდენციალურობის დაცვისა და მხოლოდ ოფიციალური ელექტრონული რესურსების გამოყენების ვალდებულება. დოკუმენტი კრძალავს პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის სოციალური ქსელებისა და არაოფიციალური საკომუნიკაციო პლატფორმების მეშვეობით დამუშავებასა და გაზიარებას, რაც დამატებით ამცირებს ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნების რისკებს. დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია მონაცემებზე წვდომის დიფერენცირებული სისტემა. თითოეულ თანამშრომელს წვდომა აქვს მხოლოდ იმ ინფორმაციაზე, რომელიც აუცილებელია მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად, ხოლო სხვადასხვა საინფორმაციო სისტემაზე წვდომის უფლებები განსაზღვრულია ფუნქციების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლაში შექმნილია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის ეფექტიანი სისტემა. წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტები, ინფორმაციის შენახვისა და წვდომის მექანიზმები, ელექტრონული სისტემების უსაფრთხოების წესები და ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება ადასტურებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცვას მოქმედი კანონმდებლობისა და ინფორმაციული უსაფრთხოების პრინციპების შესაბამისად. შესაბამისად,

3.4.1.7 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეფუძნება არა მხოლოდ მარეგულირებელი დოკუმენტების არსებობას, არამედ მათი ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებასა და მუდმივ გაუმჯობესებას. შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა და შრომის უსაფრთხოების სისტემის გეგმა ითვალისწინებს სამუშაო გარემოში არსებული რისკების პერიოდულ შეფასებას, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას, თანამშრომელთა ინსტრუქტაჟების ჩატარებას, მათი ეფექტიანობის შეფასებასა და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ღონისძიებების განხორციელებას. აღნიშნულ პროცესებზე პასუხისმგებლობა განსაზღვრული აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, რომელიც ახორციელებს უსაფრთხოების ღონისძიებების მონიტორინგსა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა უსაფრთხოების მიმართულებით განხორციელებული საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ სკოლაში რეგულარულად ტარდება თანამშრომელთა ინსტრუქტაჟები, სწავლება და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული სხვა პრევენციული ღონისძიებები. აღნიშნული მიუთითებს, რომ უსაფრთხოების მექანიზმები პრაქტიკაში ფუნქციონირებს და მათი ეფექტიანობა პერიოდულად მოწმდება.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სკოლას აღნიშნული მიმართულებით უკვე გააჩნია პრაქტიკული გამოცდილება. სკოლის მოქმედ მისამართზე განხორციელებული სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები ეტაპობრივად სრულდებოდა, რაც ადასტურებს, რომ უსაფრთხოების შეფასების შედეგები გამოიყენებოდა არსებული მექანიზმების გაუმჯობესებისათვის.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე გაითვალისწინა, რომ ახალი შენობის პროექტში უკვე ინტეგრირებულია უსაფრთხოების დამატებითი მექანიზმები, მათ შორის ავტომატური ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, კვამლის დეტექტორები, ვიდეომეთვალყურეობის სისტემა და დაცვის პოსტი. აღნიშნული მიუთითებს, რომ სკოლა უსაფრთხოების სისტემის განვითარებას გეგმავს რისკების შეფასებისა და დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და მიღებულ შედეგებს იყენებს უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესებისათვის. წარმოდგენილი დოკუმენტაცია, პასუხისმგებელი პირების საქმიანობა, უსაფრთხოების ღონისძიებების მონიტორინგი, ინსტრუქტაჟების ჩატარება, წინა შეფასებების შედეგებზე რეაგირების პრაქტიკა და ახალი ინფრასტრუქტურის დაგეგმვისას უსაფრთხოების მექანიზმების გათვალისწინება ადასტურებს, რომ სკოლაში დანერგილია უსაფრთხოების უწყვეტი გაუმჯობესების პრაქტიკა. შესაბამისად,

3.4.1.8 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების შეთანხმების კორესპოდენციები
- ა(ა)იპ ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
- შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა
- შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დანერგვის გეგმა
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პირადი საქმე
- უსაფრთხოების პრევენციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების აღრიცხვის ჟურნალები
- პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები
- ექიმის პირადი საქმე
- მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მხარდაჭერის წესი
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები
- წყლის ლაბორატორიული კვლევის შედეგები
- გამგეობის #240604-01- აგ გადაწყვეტილებით დამტკიცებული ა(ა)იპ ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა
- ლიცენზირებული პროგრამის შესყიდვის დოკუმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ა(ა)იპ ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისი (ს/კ 405134322) საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას გეგმავს მისამართზე: ქ. თბილისი, სოფელი ლისი, მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 01.72.58.058.007. სკოლამ წარმოადგინა იჯარის ხელშეკრულება #67-260708-01 (გაფორმებული 2026 წლის 09 ივნისს) შპს კამპუს კონსტრაქშენ დეველოპმენტთან (ს/კ 405717425). ხელშეკრულების ვადა განსაზღვრულია 2038 წლის 31 აგვისტომდე (12 წელი)

თუმცა, საჯარო რეესტრის ამონაწერის (მომზადების თარიღი 01/04/2026) შესწავლისას დადგინდა, რომ ნაკვეთის მესაკუთრეა ფიზიკური პირი, აღნიშნულ ნაკვეთზე რეესტრში დარეგისტრირებულია აღნაგობის უფლება შპს კამპუს კონსტრაქშენ დეველოპმენტის (ს/კ 405717425) სასარგებლოდ. ამონაწერში **არ ფიქსირდება ა(ა)იპ ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისის (ს/კ 405134322) სარგებლობის უფლება** (ქვეიჯარა ან აღნაგობის უფლების გადაცემა). იჯარის ხელშეკრულება რეესტრში გატარებული არ არის. შესაბამისად, იურიდიულად არ დასტურდება, რომ სკოლას აქვს უფლება გამოიყენოს აღნიშნული ქონება საგანმანათლებლო საქმიანობისთვის მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. ადგილზე ფაქტობრივი დათვალიერებისას დადგინდა, რომ შენობაში მიმდინარეობს მასშტაბური სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები.

ვიზიტის მომენტში საკლასო ოთახები, დამხმარე სივრცეები (ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი, სასადილო) და სველი წერტილები არ არის დასრულებული და ფუნქციონირებად მდგომარეობაში. არ არის უზრუნველყოფილი უსაფრთხო გარემო მოსწავლეებისა და პერსონალისთვის, რადგან ტერიტორიაზე იმყოფებიან მშენებლები და განთავსებულია სამშენებლო მასალები. სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის მზად სასწავლო პროცესის დასაწყებად.

სკოლის მფლობელობაშია არის 10 სასკოლო დაფა და 90 კომპლექტი მერხი და სკამი. ასევე, ჩუქების ხელშეკრულებებითა და ზედნადებებით დასტურდება კომპიუტერული ტექნიკისა და პროექტორის ფლობა. სკოლამ წარმოადგინა ხელშეკრულება დამატებით 60 მოსწავლის ავეჯის დამზადებაზე, 31 აგვისტომდე ჩაბარების ვადით, და გადახდილი ავანსის ქვითარი. მიუხედავად იმისა, რომ ავეჯის რაოდენობა (არსებული და გარანტირებული) ჯამში (150 კომპლექტი) შეესაბამება მოთხოვნილ ადგილების ზღვრულ რაოდენობას, ინფრასტრუქტურის დაუსრულებლობის გამო, ეს რესურსი ვერ იქნება გამოყენებული საგანმანათლებლო საქმიანობისთვის.
არსებული ვითარების ანალიზის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის:

- საჯარო რეესტრის ამონაწერით არ დასტურდება ა(ა)იპ ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისის სარგებლობის უფლება ქონებაზე, რაც არღვევს ავტორიზაციის ვადით გარანტირებული ფლობის მოთხოვნას.
- სკოლის შენობაში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, ინფრასტრუქტურა დაუსრულებელია და არ არის უზრუნველყოფილი უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემო.

აქედან გამომდინარე, სკოლა ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება: ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში სკოლამ განმარტა, რომ ქონებასთან დაკავშირებული ხელშეკრულება ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში უკვე გაფორმებული და წარმოდგენილი იყო, ხოლო მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია განხორციელდება თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურთან მიმდინარე პროცედურების დასრულების შემდეგ. შესაბამისი რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა დაგეგმილია საბჭოს სხდომაზე. შენობის სარემონტო სამუშაოების სრულად დასრულების ვადად კი განსაზღვრულია არაუგვიანეს 2026 წლის 31 აგვისტო. აღნიშნულის გათვალიწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა მეტწილ შესაბამისად და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის საფუძველზე გასცა რეკომენდაცია.

რეკომენდაცია: სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 31 აგვისტომდე, უზრუნველყოს:

- სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სარგებლობის უფლების კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახვა.
- შპს კამპუს კონსტრაქშენ დეველოპმენტის მიერ ინფრასტრუქტურის, კარძოდ საკლასო ოთახები, სველი წერტილები, ინკლუზიური გარემო, სპორტული ინფრასტრუქტურა, საინფორმაციო - საკომუნიკაციო სისტემები და ადმინისტრციული სივრცეები. მოწყობის დასრულება

3.5.1.1ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელიც არეგულირებს სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობას. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი „ა(ა)იპ „ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისის“ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს ბიბლიოთეკის მიზნებს, მკითხველთა კატეგორიას- ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება აქვთ სკოლის მოსწავლეებს, მასწავლებლებს, თანამშრომლებსა და მშობლებს. მკითხველის უფლება-მოვალეობებს: მათ შორის წიგნების გატანის, დაჯავშნის, დაკარგვის/დაზიანების შემთხვევაში ანაზღაურების წესებს. ბიბლიოთეკარის ფუნქციებს: მკითხველთა მომსახურება, ფონდის შევსება, კატალოგიზაცია. დოკუმენტი ითვალისწინებს ბიბლიოთეკის სამუშაო საათებს და წიგნადი ფონდის ხელმისაწვდომობას მთელი სასკოლო საზოგადოებისთვის.

სკოლამ წარმოადგინა მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია, ასევე წარმოდგენილია ოთახების გადანაწილების გეგმები, რომლებიც ითვალისწინებს საკლასო ოთახებს, ბიბლიოთეკას, ექიმის კაბინეტს, სასადილოს, კომპიუტერების ოთახს და საერთო სარგებლობის სხვა სივრცეებს. თუმცა, შენობაში მიმდინარეობს მასშტაბური სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები. ვიზიტის მომენტში: აღნიშნული სივრცეები არ არის დასრულებული და ფუნქციონირებად მდგომარეობაში.ბიბლიოთეკა, კომპიუტერების ოთახი და სხვა საერთო სარგებლობის სივრცეები არ არის მოწყობილი და მზად მკითხველთა/მომხმარებელთა მისაღებად. ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების გამო, ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი ფაქტობრივად მიუწვდომელია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის უსაფრთხო გარემოში..

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს შემუშავებული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ფლობს გარკვეულ მატერიალურ რესურსს, შენობის დაუსრულებლობისა და მიმდინარე რემონტის გამო, ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი ფაქტობრივად მიუწვდომელია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება: ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით შენობის სარემონტო სამუშაოების დასრულება განსაზღვრულია არაუგვიანეს 31 აგვისტოსი, რის შემდეგაც საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი, სასადილო, კომპიუტერების ოთახი და საერთო სარგებლობის სხვა სივრცეები გახდება ფუნქციონირებადი და ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისთვის. აღნიშნულის გათვალიწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა მეტწილ შესაბამისად და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის საფუძველზე გასცა რეკომენდაცია.

რეკომენდაცია: სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 31 აგვისტომდე, უზრუნველყოს შპს კამპუს კონსტრაქშენ დეველოპმენტის მიერ ინფრასტრუქტურის მოწყობის დასრულება.

3.5.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლამ საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით წარმოადგინა "ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი". ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელიც დეტალურად არეგულირებს საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობის პირობებს. წესი განსაზღვრავს: მკითხველთა კატეგორიებს (მოსწავლეები, მასწავლებლები, თანამშრომლები, მშობლები), მკითხველის უფლება-მოვალეობებს, მათ შორის წიგნის გატანის, ვადების, დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხებს. ბიბლიოთეკარის ფუნქციებს და ბიბლიოთეკის სამუშაო განრიგს. დოკუმენტი იურიდიულად გამართულია და ქმნის ბაზას საბიბლიოთეკო სერვისების ფუნქციონირებისთვის.

ინტერვიუს პროცესში და ადგილზე დათვალიერებისას დადგინდა, რომ სკოლას საბიბლიოთეკო ფონდის მართვისა და აღრიცხვის მიზნით შესყიდული აქვს საერთაშორისო საბიბლიოთეკო პროგრამა. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მომენტში პროგრამა არ იყო სრულყოფილად დანერგილი. მიმდინარეობდა წიგნების ბაზაში შეყვანის პროცესი, მათთვის საიდენტიფიკაციო ნომრების მინიჭება და კატალოგიზაცია. შესაბამისად, საბიბლიოთეკო ფონდის სრული ელექტრონული აღრიცხვა და პროგრამული სერვისები (მაგ. ელექტრონული ძებნა, გაცემის ავტომატიზებული აღრიცხვა) ამ ეტაპზე სრულყოფილად ხელმისაწვდომი არ არის.

სკოლის შენობაში მიმდინარეობს მასშტაბური სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები. ვიზიტის მომენტში: ბიბლიოთეკის სივრცე არ არის მოწყობილი. წიგნადი ფონდი არ არის ხელმისაწვდომი მკითხველისთვის „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით“ გათვალისწინებული ფორმით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდების სამართლებრივი ბაზა და შესყიდული აქვს თანამედროვე აღრიცხვის პროგრამა. თუმცა, პროგრამის დანერგვის პროცესის დაუსრულებლობისა და შენობაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო, საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდება დადგენილი წესის მიხედვით ამ ეტაპზე ფაქტობრივად ვერ ხორციელდება.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება: ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. სკოლის მიერ წარმოდგენილი გეგმის შესაბამისად, სარემონტო სამუშაოები დასრულდება არაუგვიანეს 31 აგვისტოსი, რის შემდეგაც უზრუნველყოფილი იქნება საბიბლიოთეკო სერვისების სრულყოფილად მიწოდება. აღნიშნულის

გათვალიწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა მეტწილ შესაბამისად და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის საფუძველზე გასცა რეკომენდაცია

რეკომენდაცია: სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 31 აგვისტომდე, უზრუნველყოს შპს კამპუს კონსტრაქშენ დეველოპმენტის მიერ ინფრასტრუქტურის მოწყობის დასრულება და საბიბლიოთეკო სივრცის მოწყობა.

3.5.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

ა(ა)იპ ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და შენობის (მისამართზე: ქ. თბილისი, სოფელი ლისი, საკადასტრო კოდი 01.72.58.058.007) ადგილზე დათვალიერების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა სწავლის ინკლუზიური გარემოს შესაბამისობა არსებულ სტანდარტებთან.

ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ სკოლის შენობის მთავარ შესასვლელთან მოწყობილია პანდუსი, რაც უზრუნველყოფს შენობაში ფიზიკურ შეღწევადობას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებისთვის. შენობის შიდა სივრცეში, სართულებს შორის გადაადგილების მიზნით, დამონტაჟებულია ლიფტი. თუმცა, სკოლამ ვერ წარმოადგინა ლიფტის გამართული მუშაობისა და უსაფრთხოების დამადასტურებელი ტექნიკური სერტიფიკატი (შესაბამისი აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა). უსაფრთხოების სერტიფიკატის არარსებობის გამო, ექსპერტთა ჯგუფი ვერ მიიჩნევს ლიფტს სართულებს შორის უსაფრთხო გადაადგილების გარანტირებულ საშუალებად სსსმ/შშმ პირებისთვის. ინკლუზიური გარემოს შექმნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს ადაპტირებადი სველი წერტილების არსებობა. შენობის ფაქტობრივი დათვალიერებისას დადგინდა, რომ ამ ეტაპზე სკოლაში არ არის მოწყობილი სპეციალურად ადაპტირებული სველი წერტილი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა ეტლით მოსარგებლე ან სხვა ფიზიკური საჭიროების მქონე პირებისთვის.

შენობაში მიმდინარეობს მასშტაბური სარემონტო სამუშაოები. საერთო სივრცეების დაუსრულებლობა და სამშენებლო პროცესი დამატებით ბარიერებს ქმნის ინკლუზიური გარემოსთვის და საფრთხეს უქმნის პირთა უსაფრთხო გადაადგილებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად შენობის შესასვლელში პანდუსის არსებობისა, სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ მიიჩნევა ინკლუზიურ გარემოდ. ადაპტირებული სველი წერტილების არარსებობა და ლიფტის უსაფრთხოების სერტიფიკატის დაუდასტურებლობა ფუნდამენტურად არღვევს სსსმ/შშმ პირთა უფლებას სრულფასოვან და ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოზე.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება: ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. არგუმენტირებული პოზიციის შესაბამისად, ლიფტის უსაფრთხოების სერტიფიკატის წარმოდგენის ვადად განსაზღვრულია არაუგვიანეს 10 აგვისტო, ხოლო სარემონტო სამუშაოების დასრულებასთან ერთად, არაუგვიანეს 31 აგვისტოსი, სრულად მოეწყობა ადაპტირებული სველი წერტილებიც. აღნიშნულის გათვალიწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა მეტწილ შესაბამისად და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის საფუძველზე გასცა რეკომენდაცია

რეკომენდაცია: სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს სწავლების ინკლუზიური გარემოს შექმნა. კერძოდ,

- შპს კამპუს კონსტრაქშენ დეველოპმენტის მიერ ინფრასტრუქტურის მოწყობის დასრულება 2026 წლის 31 აგვისტომდე
- ლიფტის უსაფრთხოების სერტიფიკატის მოპოვება 2026 წლის 10აგვისტომდე

3.5.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებული

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

ა(ა)იპ ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისმა წარმოადგინა დოკუმენტაცია, მათ შორის ოთახების გადანაწილების გეგმები (მისამართზე: ქ. თბილისი, სოფელი ლისი, საკადასტრო კოდი 01.72.58.058.007), რომელიც ასახავს სკოლის კონცეფციას, ჩამოყალიბდეს, როგორც სოციო-კულტურული ცენტრი. სკოლის ოთახების გადანაწილების გეგმების შესწავლამ აჩვენა, რომ ინფრასტრუქტურა პროექტირებულია ვალდორფის პედაგოგიკის პრინციპების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს სკოლის, როგორც სოციო-კულტურული სივრცის ჩამოყალიბებას:

- **საერთო სივრცეები:** გეგმებში გამოყოფილია დიდი დარბაზი მეორე სართულზე, რომელიც, როგორც წესი, გამოიყენება საერთო შეკრებების, სპექტაკლებისა და კულტურული ღონისძიებებისთვის. პირველ სართულზე გათვალისწინებულია საგანმანათლებლო წრეების სივრცე, რაც ხელს უწყობს თემთან თანამშრომლობას.
- **მშობელთა ჩართულობა:** ვალდორფის პედაგოგიკისთვის დამახასიათებელია მშობელთა აქტიური ჩართულობა, რისთვისაც გეგმებში გათვალისწინებულია შესაბამისი სივრცეები.

ბიბლიოთეკის წესსა და სხვა შიდა დოკუმენტებში ხაზგასმულია მშვიდი, კულტურული გარემოს შენარჩუნების მნიშვნელობა.

მიუხედავად მაღალი კონცეპტუალური პოტენციალისა, ადგილზე ფაქტობრივი დათვალიერებისას დადგინდა, რომ შენობაში მიმდინარეობს მასშტაბური სარემონტო სამუშაოები.

- ვიზიტის მომენტში არცერთი ზემოაღნიშნული საერთო სარგებლობის სივრცე (დარბაზი, საგანმანათლებლო წრეების სივრცე, საერთო შეკრების ადგილები) არ არის დასრულებული და ფუნქციონირებად მდგომარეობაში.
- შენობა არ არის მოწყობილი, არ არის უზრუნველყოფილი ესთეტიკური გარემო და სამშენებლო პროცესის გამო შეუძლებელია მისი, როგორც სოციო-კულტურული სივრცის გამოყენება სასკოლო თემისა და გარეშე პირებისთვის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს შემუშავებული კონცეფცია, რომელიც თეორიულად ქმნის საფუძველს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებისთვის. თუმცა, შენობის დაუსრულებლობისა და მიმდინარე რემონტის გამო, სკოლის ინფრასტრუქტურა ამ ეტაპზე ფაქტობრივად ვერ ემსახურება ამ მიზანს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება: ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, პროექტით გათვალისწინებულია დიდი დარბაზი, საგანმანათლებლო წრეებისთვის განკუთვნილი სივრცეები და სხვა დამხმარე ფართები, რომლებიც განკუთვნილია სასკოლო საზოგადოებისა და თემთან თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის. მათი სრულად მოწყობა და ხელმისაწვდომობა დაკავშირებულია სარემონტო სამუშაოების დასრულებასთან, რომლის ვადად განსაზღვრულია არაუგვიანეს 31 აგვისტო. აღნიშნულის გათვალიწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა მეტწილ შესაბამისად და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის საფუძველზე გასცა რეკომენდაცია.

რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 31 აგვისტომდე, უზრუნველყოს შპს კამპუს კონსტრაქშენ დეველოპმენტის მიერ ს ინფრასტრუქტურის მოწყობის დასრულება.

3.5.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან უძრავ ნივთზე (ს/კ 01.72.58.058.007, 01/04/2026), სადაც არ ფიქსირდება სკოლის უფლება
- იჯარის ხელშეკრულება #67-260708-01 (09.06.2026), რომელიც არ არის დარეგისტრირებული რეესტრში. ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების ოქმი და ფოტომასალა, რომელიც ადასტურებს მიმდინარე რემონტს.
- ჩუქების ხელშეკრულებები და სასაქონლო ზედნადებები (ტექნიკაზე).

- ავეჯის დამზადების ხელშეკრულება და საგადახდო დავალება.
- ა(ა)იპ „ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისის“ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
- ოთახების გადანაწილების გეგმები (სართულების მიხედვით)
- ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების შედეგები და ფოტომასალა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლას შექმნილი აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსით უზრუნველყოფის საფუძველი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება კომპიუტერული ტექნიკის, მათ შორის სისტემური ბლოკების, მონიტორების, ოპერატიული მეხსიერების, მყარი დისკების, ვებკამერების, აუდიო მოწყობილობების, უწყვეტი კვების ბლოკების (UPS), ლიცენზირებული ოპერაციული სისტემების (Windows Pro) და სხვა ტექნიკური საშუალებების შეძენა. ამასთან, სკოლამ შეიძინა სასწავლო პროცესის მხარდასაჭერად საჭირო მულტიმედიური პროექტორიც, რაც უზრუნველყოფს თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას. სკოლის ბალანსზეა 11 კომპიუტერი, პროექტორი, პრინტერები და სკანერის აპარატები.

შინაგანაწესი ასევე ითვალისწინებს ადმინისტრაციული საქმიანობის ორგანიზებას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და კომუნიკაციის მექანიზმებს, რაც ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობას უსვამს ხაზს ადმინისტრაციული პროცესების განხორციელებისას.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ შეფასების განხორციელების დროისთვის ახალი სასწავლო შენობა ჯერ კიდევ სარემონტო-სამშენებლო პროცესში იმყოფებოდა, რის გამოც ადგილზე ვერ მოხერხდა სრულად შეფასებულიყო ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ფუნქციონირება, მათ შორის კომპიუტერული ქსელის, ინტერნეტკავშირის, ტექნიკის საბოლოო განთავსებისა და სასწავლო პროცესში მისი პრაქტიკული გამოყენების მდგომარეობა. თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლას უკვე უზრუნველყოფილი აქვს ძირითადი საინფორმაციო ტექნოლოგიური რესურსები, ხოლო მათი სრულფასოვანი ფუნქციონირება დაკავშირებულია ახალი სასწავლო სივრცის ექსპლუატაციაში მიღებასთან.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის ტექნოლოგიური მხარდაჭერისათვის აუცილებელი საინფორმაციო ტექნოლოგიური რესურსების არსებობასა და ეტაპობრივ განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტის დროს ახალი სასწავლო სივრცის IT ინფრასტრუქტურის სრული ფუნქციონირება ვერ შეფასდა მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების გამო, წარმოდგენილი მტკიცებულებები იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ სკოლას შექმნილი აქვს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის ინფორმაციული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის სათანადო საფუძველი.

3.6.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას შეძენილი აქვს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინფორმაციული ტექნოლოგიური რესურსები, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკა და მულტიმედიური პროექტორი. ამასთან, შეფასების განხორციელების დროისთვის ახალი სასწავლო შენობა ჯერ კიდევ სამშენებლო-სარემონტო პროცესში იმყოფებოდა, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა შესაძლებლობა პრაქტიკაში შეეფასებინა

ინფორმაციული ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისა და პერსონალისთვის, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკის, ქსელური ინფრასტრუქტურის, ინტერნეტისა და სხვა ტექნოლოგიური რესურსების ყოველდღიურ საქმიანობაში გამოყენება. ასევე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი დოკუმენტაციით არ დადასტურდა სკოლის მიერ დამტკიცებული ცალკე რეგულაცია, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის წესს, პასუხისმგებლობებსა და გამოყენების პირობებს მოსწავლეებისა და პერსონალისთვის.

ექსპერტთა შეფასებით, სკოლას უზრუნველყოფილი აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიური რესურსები, თუმცა შეფასების განხორციელების დროისთვის ვერ დადასტურდა მათი ფაქტობრივი ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისა და პერსონალისთვის, რადგან ახალი სასწავლო სივრცე ჯერ არ იყო ექსპლუატაციაში მიღებული. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფს არ წარედგინა სკოლის მიერ დამტკიცებული ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების დეტალური წესი.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება: ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. არგუმენტირებული პოზიციის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა გამგეობის მიერ დამტკიცებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობისა და ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების წესი, რომლითაც დეტალურად განისაზღვრა IT რესურსებით სარგებლობის პირობები, პასუხისმგებლობები და მოსწავლეებისა და პერსონალის წვდომის საკითხები. შესაბამისად, ხარვეზის მარეგულირებელ ნაწილზე სკოლამ უკვე მოახდინა რეაგირება. ამასთან, IT რესურსების ფაქტობრივი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დაკავშირებულია მიმდინარე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დასრულებასთან. სკოლას სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრული აქვს არაუგვიანეს 2026 წლის 31 აგვისტო, რის შემდეგაც არსებული საინფორმაციო-ტექნოლოგიური რესურსები განთავსდება შესაბამის სივრცეებში და გახდება მოსწავლეებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, მიუხედავად მარეგულირებელი ხარვეზის აღმოფხვრისა, პრაქტიკული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად დარჩენილი ღონისძიებების გათვალისწინებით, ინდიკატორი შეფასდა მეტწილ შესაბამისად და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის საფუძველზე გასცა რეკომენდაცია

რეკომენდაცია: სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, 2026 წლის 31 აგვისტომდე, უზრუნველყოს შპს კამპუს კონსტრაქშენ დეველოპმენტის მიერ ს ინფრასტრუქტურის მოწყობის დასრულება.

3.6.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილდ დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- ციფრული რესურსების ფლობის დამადასტურებელი მასალები

- სკოლის საბუღალტრო პროგრამის მონაცემები
- შპს ,, სქაიტელეკომთან“ გაფორმებული მომსახურეობის ხელშეკრულება აპარატურის მონტაჟსა და პროგრამული გამართვის შესახებ.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლაში მოქმედებს უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული საქმისწარმოების წესი (გამგეობის Nაგ-260406-01 გადაწყვეტილება), რომელიც განსაზღვრავს დოკუმენტების შექმნის, რეგისტრაციის, მოძრაობის, აღრიცხვის, შენახვის, არქივირების, პირადი საქმეების წარმოებისა და კორესპონდენციასთან მუშაობის ერთიან პროცედურებს. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი როგორც შემოსული და გასული კორესპონდენციის, ისე შიდა დოკუმენტაციის, კოლეგიური ორგანოების გადაწყვეტილებების, ხელშეკრულებებისა და პირადი საქმეების წარმოების წესი, პასუხისმგებელი პირები და დოკუმენტების შენახვის ვადები.

საქმისწარმოების წესით განსაზღვრულია, რომ დოკუმენტაციის აღრიცხვა ელექტრონული ფორმით ხორციელდება, გადაწყვეტილებები რეგისტრირდება საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში (LogicalDOC), ხოლო სასწავლო პროცესთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები კანონმდებლობით დადგენილ ვადებში იტვირთება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool/EMIS).

ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ სკოლა პრაქტიკულად იყენებს Signify-ის ელექტრონული ხელმოწერის სისტემას, რომლის საშუალებითაც ფორმდება ხელშეკრულებები და სხვა სამართლებრივი დოკუმენტები. ხელმოწერილი დოკუმენტების აღრიცხვა და რეესტრი უზრუნველყოფილია თავად აღნიშნულ ელექტრონულ სისტემაში, რაც დოკუმენტების ავთენტურობის, მიკვლევადობისა და უსაფრთხო შენახვის თანამედროვე მექანიზმს წარმოადგენს. ამასთან, სკოლაში დოკუმენტბრუნვა ელექტრონული ფორმით ხორციელდება, ხოლო მატერიალური სახით ინახება მხოლოდ ის კორესპონდენცია და დოკუმენტაცია, რომლის ქაღალდზე შენახვასაც ითვალისწინებს კანონმდებლობა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში დანერგილია კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი თანამედროვე ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა. დოკუმენტბრუნვა, ელექტრონული ხელმოწერა, დოკუმენტების რეგისტრაცია, აღრიცხვა და

შენახვა ორგანიზებულია ერთიანი პროცედურების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტაციის მიკვლევადობას, სანდოობასა და ეფექტიან მართვას. შესაბამისად,

3.6.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვის პროცესებში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები, რაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტიან, გამჭვირვალე და ოპერატიულ განხორციელებას. საქმისწარმოების წესით განსაზღვრულია, რომ დოკუმენტაციის აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონული ფორმით. დოკუმენტები რეგისტრირდება LogicalDOC-ის ელექტრონულ საქმისწარმოების სისტემაში, სადაც უზრუნველყოფილია მათი აღრიცხვა, სისტემატიზაცია, მიკვლევადობა და შენახვა. ამასთან, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები კანონმდებლობით დადგენილ ვადებში აისახება eSchool/EMIS-ის საინფორმაციო სისტემაში.

ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ სკოლა იყენებს Signify-ის ელექტრონული ხელმოწერის სისტემას. შრომითი, მომსახურებისა და სხვა ტიპის ხელშეკრულებები ფორმდება ელექტრონულად, ხოლო ხელმოწერილი დოკუმენტების აღრიცხვა და რეესტრი წარმოებს აღნიშნულ სისტემაში, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ქაღალდზე დაფუძნებულ დოკუმენტბრუნვას და უზრუნველყოფს დოკუმენტების უსაფრთხო შენახვას, ავთენტურობასა და სწრაფ ხელმისაწვდომობას.

ამასთან, სკოლის ოფიციალური კომუნიკაცია ხორციელდება ორგანიზაციის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის გამოყენებით. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ სკოლა მართვის პროცესებში ეფექტიანად იყენებს თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებს, რაც ხელს უწყობს გადაწყვეტილებების დროულ მიღებას, დოკუმენტაციის უსაფრთხო მართვას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიანობას.

ექსპერტთა შეფასებით, სკოლის მართვის პროცესები ეფუძნება თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას. სკოლაში დანერგილია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის, ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული აღრიცხვის სისტემები, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტების ეფექტიან მართვას, მიკვლევადობას, უსაფრთხოებასა და ადმინისტრაციული პროცესების ოპერატიულ განხორციელებას.

3.6.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ა(ა)იპ ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსს აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ადგილზე ვიზიტისას ,ექსპერტებმა შეამოწმეს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა . გამოიკვეთა, რომ სკოლას სრულყოფილად აქვს ინფორმაცია ასახული სისტემაში, როგორც მოსწავლეების,ასევე, თანამშრომლების შესახებ. სკოლის საინფორმაციო ბარათში იკითხებოდა მისი მაინდენტიფიცირებელი ინფორმაცია,ასევე ,ასახული იყო მოსწავლეთა ჩარიცხვა/ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანებები.

3.6.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

ა(ა)იპ ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი აქტიურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან,მათ შორის საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან, რაიონის რესურსცენტრთან.

3.6.2.4 ინდიკატორის მოთხოვბა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- Logicaldoc -ის პლატფორმა
- Signify-ის ელექტრონული ხელმოწერის პლატფორმა
- eSchool.emis.ge ბაზები
- კორესპოდენციები საგანმანათლლებლო სტრუქტურებთან
- გამგეობის Nაგ-260406-01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული, საქმისწარმოების წესი;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციისათვის იყენებს რამდენიმე ოფიციალურ საკომუნიკაციო არხს, რაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას როგორც სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

სკოლაში ფუნქციონირებს ოფიციალური ვებგვერდი www.waldorf-lisi.edu.ge, რომლის შექმნა და ადმინისტრირება უზრუნველყოფილია შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ ვებგვერდი შექმნილია თანამედროვე პლატფორმაზე (WordPress), რაც სკოლას აძლევს შესაძლებლობას ოპერატიულად განათავსოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის, ორგანიზაციული საქმიანობის, მარეგულირებელი დოკუმენტების, სიახლეებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს ოფიციალურ **Facebook**-გვერდს, რომლის საშუალებითაც სისტემატურად აქვეყნებს ინფორმაციას სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო ღონისძიებების, სასკოლო აქტივობების, რეგისტრაციის, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი სიახლეებისა და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ. აღნიშნული არხი ასევე უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირებთან ორმხრივ კომუნიკაციას.

Facebook-ის ოფიციალურ გვერდზე და ვებგვერდზე განთავსებულია სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა და ვებგვერდის მისამართი, რაც ამარტივებს საზოგადოებისა და სკოლის კომუნიკაციას.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლა ეფექტიანად იყენებს როგორც ოფიციალურ ვებგვერდს, ისე სოციალურ ქსელებს საზოგადოების ინფორმირების, საჯაროობისა და კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლას დანერგილი აქვს საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციის მრავალარხიანი სისტემა. ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალური ქსელების მეშვეობით უზრუნველყოფილია სკოლის საქმიანობის, საგანმანათლებლო პროცესისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის საჯაროობა, ხელმისაწვდომობა და დაინტერესებულ პირებთან ეფექტიანი კომუნიკაცია.

3.6.3.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლაში საზოგადოების ინფორმირების პროცესი ეფუძნება სანდოობის, გამჭვირვალობისა და უკუკავშირის პრინციპებს, რამდენადაც სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ეფუძნება დაწესებულების რეალურ საქმიანობას. სკოლის გამგეობის გადაწყვეტილებით (№220221–01) ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალური ქსელების მართვაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია ხარისხის ჯგუფის ერთ-ერთი წევრი. აღნიშნული პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის შესახებ ოფიციალური ინფორმაციის განთავსებას, ვებგვერდისა და სოციალური ქსელების ადმინისტრირებასა და ინფორმაციის დროულ განახლებას. პასუხისმგებლობის მკაფიო განსაზღვრა წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის მხოლოდ გადამოწმებული, ოფიციალური და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა სკოლის ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელები, სადაც განთავსებული ინფორმაცია შეესაბამება სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და საგანმანათლებლო კონცეფციას. ვებგვერდზე და სოციალურ მედიაში ასახულია ინფორმაცია სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო გარემოს, დამატებითი აქტივობების, ადმინისტრაციული პროცესებისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას სანდო და გადამოწმებული მონაცემების საფუძველზე.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სკოლაში დანერგილია საზოგადოებისათვის სანდო და უტყუარი ინფორმაციის მიწოდების ეფექტიანი პრაქტიკა. წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ ინფორმაცია ეფუძნება სკოლის რეალურ საქმიანობას, მზადდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, ხოლო მისი ხარისხი და სანდოობა მუდმივად მოწმდება უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე. შესაბამისად, **3.6.3.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლაში საზოგადოების წარმომადგენლებისგან მიღებული უკუკავშირი წარმოადგენს მართვისა და ხარისხის განვითარების პროცესის მნიშვნელოვან კომპონენტს და გამოიყენება საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.

წარმოდგენილი ხარისხის ჯგუფის ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლა სისტემატურად ატარებს მშობელთა გამოკითხვებს, აანალიზებს მიღებულ მონაცემებს, აჯამებს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ შედეგებს და მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე გეგმავს შემდგომ ღონისძიებებს.

დოკუმენტში წარმოდგენილია მშობელთა შეფასებები, რეკომენდაციები, სტატისტიკური ანალიზი და კონკრეტული მიმართულებები, რომლებიც გამოყენებულია მომდევნო აქტივობების დაგეგმვისათვის.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაადგინა, რომ სკოლაში უკუკავშირი გამოიყენება ახალი დოკუმენტებისა და საინფორმაციო რესურსების შემუშავების პროცესშიც. კერძოდ, „მშობლის გზამკვლევის“ შექმნის ინიციატივა ეფუძნება მშობელთა მიერ გამოთქმულ საჭიროებებს, ხოლო კათედრის გადაწყვეტილებით, მისი სამუშაო ვერსია მშობლებს გადაეცემათ შეფასებისა და რეკომენდაციების წარმოდგენის მიზნით, რათა მათი მოსაზრებები აისახოს დოკუმენტის საბოლოო რედაქციაში. აღნიშნული ადასტურებს, რომ სკოლა უკუკავშირს იყენებს არა ფორმალურად, არამედ გადაწყვეტილებების მიღებისა და საქმიანობის გაუმჯობესების პროცესში.

გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის პრაქტიკა, რომლის ფარგლებში ტარდება ღია აქტივობები („ერთი დღე სკოლაში“), რაც მშობლებს საშუალებას აძლევს უშუალოდ გაეცნონ სასწავლო პროცესს, გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები და მონაწილეობა მიიღონ სკოლის საქმიანობის შეფასებასა და განვითარებაში.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლაში მიღებული უკუკავშირი წარმოადგენს ხარისხის მართვის სისტემის ნაწილს და გამოიყენება როგორც ახალი ინიციატივების დაგეგმვის, ისე არსებული პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ეფექტიანად იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით მიღებულ უკუკავშირს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ უკუკავშირის მიღება, მისი ანალიზი, შედეგების განხილვა და მათ საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღება წარმოადგენს სკოლის ხარისხის მართვის სისტემის განუყოფელ ნაწილს. შესაბამისად, **3.6.3.3 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის ოფიციალური ვებგვერდი https://waldorf-lisi.edu.ge/, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე და უზრუნველყოფილია სკოლის საქმიანობის, საგანმანათლებლო პროგრამებისა და მნიშვნელოვანი მარეგულირებელი დოკუმენტების საჯარო ხელმისაწვდომობა.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ახორციელებს ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამას და ვებგვერდზე ინფორმაცია წარმოდგენილია ქართულ ენაზე, სკოლა საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გათვალისწინებით წლიურ ანგარიშებს დამატებით გერმანულ ენაზეც აქვეყნებს. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას უცხოელი პარტნიორებისათვის, ხელს უწყობს გამჭვირვალობასა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

3.6.3.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის ოფიციალური ვებგვერდი და დაადგინა, რომ მასზე განთავსებულია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების, ორგანიზაციული სტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამების, ჩარიცხვის პროცედურების, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მოთხოვნების, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების, ფინანსური მდგრადობის, სტრატეგიული გეგმის შუალედური და წლიური ანგარიშების, საკონტაქტო ინფორმაციისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ინფორმაცია. ვებგვერდზე ასევე ხელმისაწვდომია სკოლის საქმიანობის ამსახველი სამართლებრივი და მარეგულირებელი დოკუმენტები, რაც უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის ინფორმაციის საჯაროობასა და გამჭვირვალობას.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ვებგვერდზე ბოლო გამოქვეყნებული წლიური ანგარი 2023 წლით თარიღდება, თუმცა სკოლამ ექსპერტთა ჯგუფს დამატებით წარმოუდგინა 2024–2025 სასწავლო წლის წლიური ანგარიში, რომელიც ჯერ არ იყო განთავსებული ოფიციალურ ვებგვერდზე. ასევე მიმდინარეობდა მუშაობა 2025–2026 სასწავლო წლის წლიური ანგარიშის მომზადებისთვის. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ სკოლა ამზადებს წლიურ ანგარიშებს, თუმცა მათი დროული გამოქვეყნება სრულად არ არის უზრუნველყოფილი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაციის ძირითადი ნაწილი, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებასა და სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობას. ამასთან, შეფასების განხორციელების დროისთვის ვებგვერდზე სრულად არ იყო ასახული ყველაზე აქტუალური წლიური ანგარიშები.

რჩევა: სასურველია,სკოლამ უზრუნველყოს ოფიციალურ ვებგვერდზე სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების დროული და სისტემატური გამოქვეყნება, რათა ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია მუდმივად იყოს აქტუალური და სრულად ასახავდეს დაწესებულების საქმიანობის მიმდინარე შედეგებს.

3.6.3.5 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგვერდი:https://waldorf-lisi.edu.ge/
- სკოლის სოციალური გვერდი
- შპს პროსერვისთან გაფორმებული ხელშეკრულება დომენური სახელის რეგისტრაციის შესახებ
- 2024-25 სამოქმედო გეგმის შესრულება-ანგარიში
- ხარისხის ჯგუფის ანგარიში
- მშობლის გზამკვლევის შემუშავების შესახებ დაწყებითი განათლების კათედრის ოქმი №260507-28

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური დაგეგმვა დაკავშირებულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ საქმიანობასთან. ბიუჯეტი შედგენილია შემოსავლებისა და ხარჯების მიმართულებების მიხედვით და ითვალისწინებს როგორც სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის აუცილებელ რესურსებს, ისე ადმინისტრაციული, ინფრასტრუქტურული და პროფესიული განვითარების საჭიროებების დაფინანსებას.

წარმოდგენილი ბიუჯეტით გათვალისწინებულია თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, შენობის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯები, კომუნალური მომსახურება, სასწავლო რესურსები, ინვენტარისა და საოფისე მასალების შეძენა, პროფესიული განვითარების ღონისძიებები და სხვა საოპერაციო ხარჯები, რაც მიუთითებს, რომ სკოლამ ფინანსური რესურსების დაგეგმვისას გაითვალისწინა ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაადგინა, რომ ბიუჯეტში ცალკე არის გამოყოფილი პროფესიული განვითარების დაფინანსება, რაც შეესაბამება სკოლის ადამიანური რესურსების განვითარების პოლიტიკას და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულ აქტივობებს. აღნიშნული ადასტურებს, რომ ფინანსური დაგეგმვა ორიენტირებულია არა მხოლოდ მიმდინარე ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, არამედ პერსონალის პროფესიულ განვითარებაზეც.

ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციით დადასტურდა, რომ ფინანსური რესურსების დაგეგმვა ხორციელდება დაგეგმილი საქმიანობების საჭიროებების გათვალისწინებით, ხოლო ბიუჯეტის შესრულებაზე პასუხისმგებელია სკოლის მმართველი ორგანო.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლის ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობების განხორციელებას. წარმოდგენილი ბიუჯეტი რეალისტურად ასახავს დაწესებულების შემოსავლებსა და ხარჯებს, ფინანსური რესურსები განაწილებულია ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობის მიმართულებების შესაბამისად, ხოლო დაგეგმილი ხარჯები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის, პერსონალის, ინფრასტრუქტურისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების დაფინანსებას. შესაბამისად, **3.7.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლაში ფინანსური რესურსების მართვის სისტემა რეგულირდება შიდა სამართლებრივი აქტებით, რომლებშიც განსაზღვრულია ფინანსური დაგეგმვის, ბიუჯეტის დამტკიცების, ფინანსური რესურსების განკარგვის, ზედამხედველობისა და ანგარიშგების მექანიზმები. წესდების შესაბამისად, ორგანიზაციის წლიურ ბიუჯეტს ამტკიცებს წევრთა საერთო კრება, ხოლო მისი მომზადება, ფინანსური რესურსების მართვა, ქონების განკარგვა და ფინანსურ საქმიანობაზე ზედამხედველობა გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება. ამავე წესდებით განსაზღვრულია, რომ გამგეობა არანაკლებ წელიწადში ერთხელ საერთო კრებას წარუდგენს ფინანსურ ანგარიშს, რაც უზრუნველყოფს ფინანსური საქმიანობის ანგარიშვალდებულებასა და მონიტორინგს.

დოკუმენტაციის ანალიზით ასევე დადგინდა, რომ სკოლა ყოველწლიურად ამზადებს ფინანსური მდგრადობის ანგარიშს, რომლის მეშვეობით აფასებს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას, შემოსავლებისა და ხარჯების დინამიკას, ასევე მომდევნო პერიოდის ფინანსურ შესაძლებლობებს.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული წარმოადგენს ფინანსური რესურსების მონიტორინგისა და შეფასების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც ხელს უწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებას.
შინაგანაწესი და წესდება ერთობლიობაში უზრუნველყოფს ფინანსური უფლებამოსილებების მკაფიო განაწილებას, გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გამჭვირვალობასა და ფინანსური საქმიანობის ანგარიშვალდებულებას, რაც ქმნის ფინანსური რესურსების მართვის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების საფუძველს.
ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლას ჩამოყალიბებული აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა. შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრულია ფინანსური დაგეგმვის, ბიუჯეტის დამტკიცების, ფინანსური რესურსების განკარგვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცედურები, ხოლო ყოველწლიური ფინანსური მდგრადობის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოფს ფინანსური მდგომარეობის სისტემურ შეფასებასა და ფინანსური გადაწყვეტილებების მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიღებას. შესაბამისად, **3..7.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა
- ფინანსური მდგრადობის ანგარიშები
- სკოლის წესდება
- სკოლის შინაგანაწესი
- საერთო კრების ოქმი N1-ბიუჯეტის დამტკიცებაზე

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

თარიღი: 11.08.2026

Maka Tukvadze 01019028119

Digitally signed by Maka Tukvadze
Date: 2026.08.11 15:37:18

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: